ულტიმატუმის ვადა გადის
A2

"გულახდილად"
A5

ფიგურატივიზმი ანუ ამოუწურავი იდეა
A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 3 დეკემბერი, 2005 წელი. №268 (1168)

ფასი 50 თეთრი

რუსეთს არ მოსწონს ცხრა ქვეყნის დემოკრატიული არჩევანი

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ინიციატივა, რომელიც თავდაპირველად აგვისტოში "ბორჯომის დეკლარაციის" სახით ჩამოყალიბდა, რეალობად იქცა. გუშინ კიევში ბალტია-შავი ზღვის რეგიონის ცხრა ქვეყანამ დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა ჩამოაყალიბა. მოსკოვში კი ფორუმის "ანტირუსულ" ხასიათზე საუბრობენ.

ფორუმის მონაწილეებმა - საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, რუმინეთის, მაკედონიის, სლოვენიისა და უნგრეთის პრეზიდენტებმა - ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალი თანამეგობრობა შეიქმნა როგორც სამთავრობო და არასამთავრობო თანამშრომლობის ფორუმი დემოკრატიის განვითარებისათვის.

დეკლარაციაში მხარეები აცხადებენ, რომ ამ ფორუმის მეშვეობით განზრახული აქვთ, მხარი დაუჭირონ დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებას, გამოცდილების გაზიარებას დემოკრატიის მშენებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

ფორუმის მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, "აჩვენონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითი" და მოუწოდებენ სხვა ქვეყნების ლიდერებს, ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და ურთიერთგაგებას, პლურალიზმს, ებრძოლონ ეთნიკურ და რელიგიურ სიძულვილს, ძალადობას, სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს, ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის საქმიანობას.

"ბალტიის, შავი ზღვისა და კასპიის რეგიონებში დემოკრატიის განვითარება რუსეთისთვის სასარგებლო იქნება," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფორუმზე გამოსვლისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ხალხის რჩეულები გადაწყვეტილებებს მუშტი-კრივის ფონზე იღებენ

თამარ დვალი

გუშინ საკრებულოს წევრები დღის წესრიგში არსებული 31 საკითხის განხილვას საღამოს 6 საათისთვის შეუდგნენ. პირველი საკითხი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებას შეეხებოდა, ბოლო საკითხად კი დეპუტატებს 2006 წლის ბიუჯეტი უნდა განეხილათ და დაემტკიცებინათ.

სხდომათა დარბაზში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც საკრებულოში პარლამენტის წევრები, "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები გამოჩნდნენ. მათი მოსვლიდან 10 წუთში სხდომათა დარბაზში პარლამენტარები დავით კირკიტაძე, ბიძინა ბრეგაძე და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა წარმომადგენლებიც მივიდნენ.

უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც "ლეიბორისტ" სოსო შატბერაშვილს საუბარში ხელი უმრავლესობის წევრმა გიორგი ტაბიძემ შეუშალა. ჩხუბში მალე პარლამენტის წევრები და საკრებულოში მოსული უცხო პირებიც ჩაერთვნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

პარლამენტარები საჩხუბრად საკრებულოში მივიდნენ.

ირაკლი ანდრონიკაშვილის

შეურაცხყოფილი ბერეზოვსკი და "თალიბი" დემოკრატები

უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ხუთშაბათს კიევში ჩამოიტანეს დოკუმენტები, რომელთაც ბორის ბერეზოვსკის სიტყვების დადასტურება შეუძლიათ, მის მიერ იუშჩენკოს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ. უმაღლესი რადას დეპუტატმა იური სოლომატინმა ჩამოიტანა ხელშეკრულებები, სადაც საუბარია ბერეზოვსკის სტრუქტურების მიერ დავით ჟვანიას ფირმისთვის 31 მილიონი აშშ დოლარის გადახდის შესახებ. საგამოძიებო კომისიას ეს დოკუმენტები თავად ლონდონში ლტოლვილის სტატუსით მცხოვრებმა რუსმა ოლიგარქმა გადასცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბერეზოვსკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მან ისეთი რამ იცის, რაც "ნარინჯისფერებს" სახელს გაუტეხს.

მთავრობას და პენსიონერებს ერთმანეთის არ ესმით

თამარ მაისურაძე

"ჩვენმა მთავრობამ დაგვიწყა," - გუშინ პარლამენტის შენობის წინ და უკან ყველაზე ხშირად ამ ფრაზას იმეორებდნენ პენსიონერები, რომლებმაც ორად გაყოფა არჩიეს, რათა საკანონმდებლო ორგანოს წევრებისთვის ხმა წინიდან და უკნიდან ერთნაირად მიეწვდინათ.

პარლამენტთან სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერები იყვნენ შეკრებილი, ხოლო მთავრობის სასახლის უკანა მხარეს აქცია ძალოვანი უწყებების პენსიონერებს ჰქონდათ გამართული. მეგაფონით ხელდამშვენებული ყოფილი ძალოვნები საპენსიო კანონში შესატან ცვლილებებს აპროტესტებდნენ. **"ამ ცვლილებებით ჩვენი პირობები გაუარესდება, რადგან პენსია შეგვიმცირდება,"** - აცხადებდნენ ისინი.

გარეთ მიმდინარე აქციების პარალელურად პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი დამსწრე საზოგადოებას არწმუნებდა, რომ პენსიონერების მდგომარეობა კი არ უარესდება, პირიქით, მომავალი წლიდან პენსია 10 ლარით გაიზრდება. **"ცვლილებების თანახმად, დაწესდება 560-ლარიანი ზღვარი და თუ რომელიმე პენსიონერს პენსია ამ ზღვარს ზემოთ აქვს, მხოლოდ მათთვის იქნება შემცირებული,"** - აღნიშნა ჭიპაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 800 ათასი პენსიონერისგან მხოლოდ 284 ყოფილი ძალოვანის მდგომარეობა გაუარესდება, დანარჩენ ძალოვნებზე ეს კანონი არ იმოქმედებს.

პენსია მოეხსნება მესამე ჯგუფის ინვალიდებს. მინისტრი აცხადებს, რომ მესამე ჯგუფის ინვალიდობას სართაშორისო ნორმები არ ცნობს და, შესაბამისად, ეს ჯგუფი გაუქმდება.

კანონპროექტს საპარლამენტო ოპოზიციაც ეწინააღმდეგება. მათ საკუთარი პოზიცია გუშინ პარლამენტის წინ შეკრებილ პენსიონერებსაც ამცნეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოსტრევოლუციურ იმერეთს მესამე რწმუნებულიც ტოვებს

იმერეთის რეგიონს პრეზიდენტის რიგით მესამე პოსტრევოლუციური რწმუნებულიც ტოვებს. აკაკი ბობოხიძემ გადაგომის თაობაზე განცხადება უკვე დაწერა პრეზიდენტის სახელზე. რწმუნებულის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილის ცემის ფაქტი გახდა. ბობოხიძის წინამორბედი გია გეწაძე კი ჟურნალისტებთან ქეიფს გადაჰყვა.

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ინციდენტი იმნაიშვილსა და ბობოხიძეს შორის ქუთაისში 1 დეკემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე მოხდა, როცა ისინი ადგილობრივი ტელეკომპანია "რიონის" ეთერში საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე კამათობდნენ. დებატები ცხარე დაპირისპირებაში გადაიზარდა. იმნაიშვილის მწვავე კრიტიკა ხელისუფლების მისამართით ბობოხიძემ "უზრდელობად" მონათლა, რაზეც ჟურნალისტმა რწმუნებულს პირდაპირ სატელევიზიო ეთერში შემდეგი ფრაზით მიმართა - უზრდელები ოჯახში და პარტიაში მოიკითხეთო.

"ათ წუთში გარეთ გამოხვალ და გაგცემ მაგის პასუხს," - ამ სიტყვებით რწმუნებულმა ეთერი დატოვა. მოგვიანებით კი, გადაცემის დასრულების შემდეგ, ბობოხიძე იმნაიშვილს ტელევიზიის დერეფანში დახვდა და "პასუხად" სახეში მუშტი მოუქნია. გავრცელებული ინფორმაციით, რწმუნებულმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა იმნაიშვილის თანმხლებ ჟურნალისტ ნათია აბრამიასაც მიაყენა.

"რწმუნებულის დარტყმის შედეგად, ირაკლი იმნაიშვილს ცხვირი გაუტყდა და მისი სისხლით მთელი დერეფანი მოირწყა. ამის შემდეგ აკაკი ბობოხიძე ტელევიზიიდან წავიდა. ირაკლი საპირფარეშოში შევიყვანეთ სისხლის ჩამოსაბანად და ამ დროს ტელევიზიაში შემოჭრას მერიის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელი კახა დალაქიშვილი შეეცადა. ალბათ, დალაქიშვილმა იფიქრა, რომ რწმუნებულისგან მთლად კარგად ვერ "მოხვდა" ირაკლის და მას უნდოდა დაემატებინა, მაგრამ დალაქიშვილი შენობაში დაცვამ არ შემოუშვა და წავიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

პროცესზე საქართველოს და აშშ-ს პრეზიდენტებს იბარებენ

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი უნდობლობას უცხადებს ქართულ მართლმსაჯულებას და პროცესზე ადამიანის უფლებათა დამცველის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების დასწრებას მოითხოვს.

თუკი არუთინიანი სასამართლო პროცესზე საერთაშორისო დამკვირვებლებს იწვევს, პროკურატურა საქმეში დაზარალებულად ცნობილი ორი სახელმწიფოს - აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების წარმომადგენელთა სასამართლოზე დასწრებას ითხოვს.

გუშინდელ განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის ეს მოთხოვნა მოსამართლემ დააკმაყოფილა და უწყება გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს, რათა მათ პროცესზე წარმოადგინონ საკუთარი წარმომადგენლები.

გუშინდელ პროცესზე გაღიზიანებას ვერ მალავდა განსასჯელი, რომელიც აცხადებს, რომ ქართულ მართლმსაჯულებას მისთვის გამოსატანი განაჩენი უკვე დაწერილი აქვს. არუთინიანს უკვე რიგით მეხუთე ადვოკატი იცავს. თავად განსასჯელმა ადვოკატზე უარი განაცხადა, თუმცა, სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნით, სასამართლომ მას მეხუთე, სახაზინო ადვოკატი მაინც დაუნიშნა.

ვლადიმერ არუთინიანის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში 17 დაზარალებულია და 15-მდე მოწმე.

გაგრძელება A4 გვერდზე

ამბები

გაპარული თუ გაპარებული შეცდომა

თვითმმართველი ერთეულის ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხი, საერთოდ, უმრავლესობა-ოპოზიციის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი თემაა.

A2

უცხოეთი

პუტინის რუსეთის ფორმულა - "ერთი ქვეყანა - ერთი ქომპანიაა"

კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომელსაც პუტინი და მისი გარემოცვა, ისედაც მორჩილ დუმაში აქტიურად ლობირებს, თვალნათლივ წარმოაჩენს პუტინის რეალურ სახეს.

A3

სამართალი

ასლან სმირბა წინასწარი ჰატიმრობიდან გაათავისუფლეს

"ასლან სმირბამ სახელმწიფო ზარალის ნახევარი გადაიხადა და თანხის მთლიანად დაფარვის პირობაც დადო", - ასეთი განცხადება გააკეთა აჭარის პროკურორმა კახა მაისურაძემ.

A3

სპორტი

ბრილიანტის ბურთისთვის მებრძოლი

ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზისთვის წელს ბრაზილიელი რონალდინიო, კამერუნელი სამუელ ეტო'ო და ინგლისელი ფრენკ ლამპარდი იბრძოლებენ.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	3/12	4 /12
თბილისი	16	18
ქუთაისი	18	20
სოხუმი	17	18
დმანისი	11	12
გორი	15	15
ონი	11	12
ზუგდიდი	18	20
ახმეტა	16	17
გაგრა	15	14
სამტრედია	19	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7925
ევრო	2.0983
ბირვანძა სტერლ.	3.0967
რუბლი	0.0619

ამბები	A 2
ამბები	A 3
სამართალი	A 4
ქვირა	A 5
სპორტი	A 6
საზოგადოება	A 7
რევიუ	A 8

გაპარული თუ გაპარებული შეცდომა

ორი დღის წინათ, ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი წარუდგინა. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტმა, ორი წევრის გამოკლებით, აღნიშნული კანონპროექტი მოიწონა და მას პლენარულ სხდომაზე განსახილველად ვიზა მისცა. კანონპროექტის ორი მოწინააღმდეგე, როგორც მოსალოდნელი იყო, "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი და "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე აღმოჩნდნენ.

ნანა ქადაგიშვილი

თვითმმართველობის ორგანოთა ბიუჯეტების დაგეგმვის წესი თვითმმართველობების მოწყობის პრინციპიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის თანამდევი ნებისმიერი კანონი საპარლამენტო ოპოზიციისთვის მიუღებელია.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც ოპოზიცია აღნიშნულ კანონპროექტში კატეგორიულად ეწინააღმდეგება, თვითმმართველობის ორგანოების მიერ სესხის აღების წესს შეეხება. კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველობის ორგანოს სესხის აღება მხოლოდ მთავრობისგან ან მთავრობის ნებართვით შეუძლია. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, მთავრობამ უკეთ იცის, თვითმმართველობის ორგანომ სესხი როგორ და რამდენი უნდა აიღოს. "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით თვითმმართველობის დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდება. საპარლამენტო უმრავლესობა მზადაა, დათმობაზე წავიდეს და თვითმმართველ ერთეულს სესხის დამოუკიდებლად აღების უფლება გარკვეული ზღვარის ფარგლებში მისცეს.

თვითმმართველი ერთეულის ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხი, საერთოდ, უმრავლესობა-ოპოზიციის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი თემაა. ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტებში ერთი სერიოზული შეუსაბამობა გაიპარა.

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტში აღნიშნულია, რომ თვითმმართველობების ორგანოთა და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით განისაზღვრება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების წყაროს 4 სახის საგადასახადო შემოსავალი (სამემოსავლო, მოგების, ქონებისა და სათამაშო ბიზნესის) წარმოადგენს. საგადასახადო კოდექსში ახლახან შესული ცვლილების თანახმად კი, 2006 წლიდან მოგების გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტს აღარ დარჩება. ასე რომ, მომავალ წელს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის წყაროდ სამი სახის საგადასახადო შემოსავალი რჩება. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტში კი ადგილობრივი ბიუჯეტების წყაროების ჩამონათვალში მხოლოდ ადგილობრივი გადასახადებია (ქონებისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადები) მითითებული, ანუ შემოსავლების გადასახადი ქრება. როგორც რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობებისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას განაცხადეს, შემოსავლების გადასახადი მექანიკურად გამორჩათ. თუმცა, კანონპროექტის მეორე მოსმენაზე წარმოდგენილ ვარიანტშიც არაფერია შეცვლილი.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში" ვარაუდობენ, რომ "მექანიკური შეცდომა" საპარლამენტო უმრავლესობამ მთავრობის მითითებით დაუშვა და 2007 წლიდან, როცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ კანონები ამოქმედდება, საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონში ცვლილება შევა და საშემოსავლო გადასახადი მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში გადაინაცვლებს. ეს კი, როგორც არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, პრაქტიკულად, საკუთარი დაფინანსების გარეშე რჩებიან.

პოსტრევოლუციურ იმერეთს მესამე რწმუნებულიც ტოვებს

ირინა გვერდიდან

ამის შემდეგ იმნაიშვილი ჩავსვით მანქანაში ნათია აბრამიასთან ერთად და გავაცილეთ თბილისში," - ამბობს ინციდენტის თვითმხილველი ჟურნალისტი ნანა თვალაბეიშვილი "24 საათთან" საუბარში.

ტელევიზიაში შეჭრის მცდელობას უარყოფს ქუთაისის მერიის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე კახა დალაქიშვილი. **"მე იქ არ ვყოფილვარ, ეტყობა, თვალაბეიშვილს თვალთ აკლია,"** - აცხადებს დალაქიშვილი.

იმნაიშვილმა და აბრამიამ ქუთაისი უკომენტაროდ დატოვეს. ქუთაისიდან თბილისში უკომენტაროდ წავიდა პრეზიდენტის რწმუნებულიც. სახელმწიფო კანცელარიაში გავლილი კონსულტაციების შემდეგ, აკაკი ბობოხიძემ ოფიციალურად განაცხადა გადადგომის თაობაზე. ბობოხიძის მიერ თბილისში გაკეთებულ განცხადებას ქუთაისიდან გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

"სამწუხაროა, რომ ბატონმა კაკომ ვერ შეძლო, აეცილებინა თავიდან ეს პროვოკაცია. მამაკაცისთვის ძალიან ძნელია, როცა მის ოჯახს შეურაცხყოფენ. გაოცებული ვარ ბატონი ირაკლის ქმედებით, ის ნამდვილად არ მიეკუთვნება იმ ჟურნალისტთა კატეგორიას, რომლებიც ამ სტილით საუბრობენ ადამიანებთან. ჩვენ, თანამდებობის პირებს, ბევრი გვევალება, ვალდებულნი ვართ მოვითმინოთ, რეაგირება არ გავაკეთოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა არ უნდა დაიცვას ელემენტარული ჟურნალისტური თუ ადამიანური ეთიკა. გუბერნატორმა დღეს მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, როცა დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, მაგრამ ნამდვილად არ გამიხარდება მისი იმერეთიდან წასვლა, თუ პრეზიდენტი დააკმაყოფილებს მის განცხადებას, რადგან კარგად დავიწყეთ თანამშრომლობა", - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "24 საათთან" საუბარში.

ჯერჯერობით უცნობია, დააკმაყოფილებს თუ არა პრეზიდენტი რწმუნებულის განცხადებას, თუმცა ნინო ბურჯანაძე არ მალავს, რომ უკრაინიდან დაბრუნებული მიხეილ სააკაშვილისგან აკაკი ბობოხიძეს სულ მცირე, მწვავე საყვედური არ ასცდება. თუკი პრეზიდენტი იმერეთში კიდევ ერთ რწმუნებულს დაითხოვს, პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორც ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს, გადაწყვეტილი აქვს მორიგი გუბერნატორი მისი რეკომენდაციით შეირჩეს, რადგან ახალი რწმუნებულის დანიშვნის შემთხვევაში, როგორც წესი, ქუთაისში მერის შეცვლის საკითხიც დგება.

"როგორც წესი, მე არ ვერევი საკადრო საკითხებში და, ალბათ, ამანაც განაპირობა ქუთაისის მერების პირველი ორი შემთხვევა. ამიტომ დღეს ვფიქრობ, რომ უნდა ჩავერიო ამ საკითხებში," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

აკაკი ბობოხიძის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში რწმუნებულის მოვალეობის შესრულებას უკვე მეორედ შეუდგება იმერეთის მარადიული ვიცე-გუბერნატორი ზურაბ ქაჯაია. თუმცა ქაჯაია იმედოვნებს, რომ ორშაბათს გამგებლებთან დაგეგმილ თათბირს აკაკი ბობოხიძე კვლავაც რწმუნებულის რანგში წარუძღვება.

ნინო ბურჯანაძის კულტურულ-სოციალური ვიზიტი ქუთაისში

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ნინო ბურჯანაძე ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

მშობლიურ ქალაქში სამუშაო ვიზიტი პარლამენტის თავმჯდომარემ ეთნოგრაფიული მუზეუმის მონახულებით დაიწყო, სადაც საქართველოს საელჩესიო საგანძურის ექსპოზიცია დაათვალიერა. შემდეგ კი მუზეუმში არსებულ პრობლემებზე თანამშრომლებს ესაუბრა.

მუზეუმისა და მასში დაცული უძველესი ექსპონატების გადასარჩენად ნინო ბურჯანაძემ ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფთან მოლაპარაკება რამდენიმე თვის წინ დაიწყო. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ უახლოეს პერიოდში ქუთაისში ჩამოვა აღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მუზეუმის საკითხს.

"პირველ რიგში, უნდა გადავწყვიტოთ მუზეუმისათვის დამატებითი ფართის საკითხი, ხოლო ტექნიკურ აღჭურვილობაზე, აღდგენით სამუშაოებსა და მუზეუმის თანამშრომლების გადამზადებაზე ამერიკელი ექსპერტები იზრუნებენ," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მაჟორიტარი დეპუტატის ადგილობრივ ხელისუფლებასთან თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ მუზეუმისთვის ახალი შენობა აიგება. ამჟამად მიმდინარეობს შენობისთვის შესაფერისი ტერიტორიის შერჩევა. უკვე ცნობილია, რომ მუზეუმის ახალი შენობისთვის 5-6 მილიონი დოლარი და 6-7 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორიაა საჭირო.

"ფართის პრობლემა ადვილად მოგვარებადია. რაც შეეხება სახსრებს, აქ საქმე ცოტა რთულადაა," - აცხადებს რწმუნებულის პირველი მოადგილე ზურაბ ქაჯაია.

ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ ქუთაისის მუზეუმისთვის საჭირო თანხების მობილიზებას შეძლებს.

"ჩვენი წლიური დაფინანსება 69 000 ლარს შეადგენს, რაც ხელფასებზე ძლივს გვყოფნის და ექსპედიციების ჩატარებაზე საუბარი ზედმეტია. მინიმალურად რომ შევძლოთ არსებობა, 250 000 ლარი მაინც გვჭირდება", - აცხადებს მუზეუმის დირექტორი ნუკრი კვარაცხელია "24 საათთან" საუბარში.

"ქუთაისში ეროვნული ბიბლიოთეკისთვისაც მაქვს ჩაფიქრებული სერიოზული პროგრამა. თუ ეს და მუზეუმის საკითხი გადავწყვიტე, ჩავთვლი, რომ არ ვყოფილვარ ცუდი მაჟორიტარი," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ნინო ბურჯანაძე ქუთაისის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების სამსახურის ხელმძღვანელებსაც შეხვდა, რადგან ქუთაისის მომავალი წლის ბიუჯეტი, ძირითადად, სწორედ სოციალური სფეროს დაფინანსებაზე იქნება ორიენტირებული.

დღის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ არაფორმალური შეხვედრა გამართა ადგილობრივ ჟურნალისტებთან და მედიაში პროფესიული ეთიკის კოდექსის ამოქმედების აუცილებლობაზე ისაუბრა.

"აუცილებელია შევინარჩუნოთ ზღვარი ობიექტურ კრიტიკასა და ცილისწამებას შორის, თორემ არის ორი გაზეთი, "ალია" და "ჯორჯიან თაიმსი", რომლებსაც აღარ ვკითხულობ და უბრალოდ, აღარ ვიშლი ნერვებს ჩემზე ცილისწამების კითხვით," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ვიზიტის დასასრულს, მაჟორიტარი დეპუტატი მოქალაქეებსაც შეხვდა.

რთული გზა ნატო-ს ღია კარისკენ

საქართველოს მთავრობის მიერ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმას ნატო-სა და ევროკავშირში მხარი დაუჭირეს. აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით, თავისი მხარდაჭერა ბელგიის მთავრობამაც დააფიქსირა. როგორც ნატო-ს გენერალური მდივანი აცხადებს, საქართველოსთვის ნატო-ს კარი ღიაა, თუმცა გზა, რომელმაც კარამდე უნდა მიგვიყვანოს რთულია.

ნათია მსხილაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა 28 ნოემბერს ბრიუსელში მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საბჭოს სხდომაში. ამ ვიზიტის შესახებ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. **"ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირისა და ბელგიის მთავრობის მხარდაჭერა. მით უმეტეს, რომ ბელგიის მთავრობა 2006 წლიდან ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე იქნება,"** - აცხადებს ნოღაიდელი.

სხეფერის მიერ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებით, ალიანსი მიესალმება საქართველოს სწრაფვას ნატო-ში გაწევრიანებისკენ. **"საქართველოსთვის ნატო-ს კარი ღიაა, მაგრამ ამ კარამდე მისასვლელი გზა რთული იქნება,"** - განაცხადა სხეფერმა. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას განსაკუთრებით აქტიურად დაუჭირეს მხარი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, ბალტიის სახელმწიფოებმა და ამერიკამ. ბრიტანეთისა და პოლონეთის ელჩებმა კი აღნიშნეს, რომ **"ვერც ერთი მესამე ქვეყნის პოზიცია საქართველოს ნატო-ში შესვლას ხელს ვერ შეუშლის, თუ საქართველო თავად იქნება საამისოდ მზად."**

ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა ამიერიდან მიმართული იქნება დიპლომატიური მოლაპარაკებებისკენ რუსეთთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. **"ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენზეა დამოკიდებული ნატო-ში გაწევრიანების ვადები, ანუ რამდენად აქტიურად წარიმართება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (ipap) განხორციელება,"** - აცხადებს ნოღაიდელი.

პრემიერის გათვლებით, საქართველომ მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მიიღოს მოწვევა წევრობის სამოქმედო პროგრამაში, 2008-2009 წლებში კი დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე. **"საქართველოს მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად განახორციელოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელსაც თან უნდა სდევდეს ეკონომიკური და სამხედრო რეფორმების განხორციელება,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა. მთავრობის სხდომაზე ნოღაიდელმა სპეციალურ კომისიას სთხოვა, რომ აღნიშნული საკითხების განსახილველად კვირაში ერთხელ შეიკრიბონ და ყველა საკითხი დეტალურად გააანალიზონ.

გუშინ კანცელარიაში განცხადებები გაკეთდა რუსეთის ვიზების შეფერხებასთან დაკავშირებითაც. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ ვიზების გაცემაზე დაწესებული შეზღუდვები ერთ კვირაში მოიხსნება. **"მართალია, კერძო მოწვევის პირებისთვის შეზღუდვებია დაწესებული, მაგრამ ოფიციალურ პირებს ვიზების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნიათ,"** - აღნიშნა ანთაძემ.

მოკლედ

ახალი პროექტი BP-სგან

BP-მ მხარდაჭერა გამოუცხადა თბილისში კავკასიის ეკონომიკური სკოლის შექმნას, რომელიც მთელი რეგიონისთვის უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამებს ეკონომიკური მეცნიერებებისა და კვლევების სფეროში.

BP-მ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობებთან, მსოფლიო ბანკთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და, ასევე, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან ერთად, თანხობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღო ახალი სკოლის შექმნაში.

აღნიშნული პროექტისთვის BP გამოყოფს 2 მილიონ აშშ დოლარს, 2004 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობასთან დადებული სარგანტო ხელშეკრულების ფარგლებში. "BP საქართველოს" მენეჯერმა რიფ დიგინგსმა განაცხადა: **"გლობალური სოციალური ინვესტირების გეგმაში BP-მ უპირველესი ადგილი განათლებას დაუთმო და ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს კავკასიის ეკონომიკური სკოლის მხარდაჭერის პროექტში. ეს სკოლა არა მარტო უზრუნველყოფს საუკეთესო ხარისხის განათლებას და კვლევას თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებებში, არამედ ის, აგრეთვე, ხელს შეუწყობს განათლების სფეროში რეგიონულ თანამშრომლობას."**

საქართველოს მთავრობასთან დადებული 14,5-მილიონიანი ($) სარგანტო ხელშეკრულება წარმოადგენს სოციალური ინვესტირების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისთვის სარგებლის მოტანა. ეს თანხა დაიხარჯება სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტებზე მომავალი ორი წლის განმავლობაში, მაგალითად: ქუთაისში საავადმყოფოს რეკონსტრუქციისთვის კომპანიამ 3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო (ძირითადად, სადიაგნოსტიკო აპარატურის შესაძენად). BP-ს მხარდაჭერით განხორციელდა ბორჯომის პარკის რეკონსტრუქცია და ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად შეიქმნა BP-ს სტიპენდიების ფონდი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, სამაგისტრო პროგრამები ბრიტანეთის უნივერსიტეტებში გაიარონ. **24 საათი**

"მაკედონელი" - პრეზიდენტი

პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გუშინ ალექსანდრე მაკედონელი უწოდა.

ნოდარ გრიგალაშვილს ეს ასოციაცია მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა პოლიტიკური განცხადება, რომ იგი თანახმაა, საქართველოს პრეზიდენტს 38-ლარიანი პენსია დაენიშნოს. "ეს არის ალექსანდრე მაკედონელის მსგავსი საქციელი. მან უდაბნოში წყალი არ დალია, რადგან სასმელი ყველა ჯარისკაცს არ შეხვდებოდა," - განმარტა გრიგალაშვილმა.

მას სწამს, რომ ქვეყანაში, რომელსაც ასეთი პრეზიდენტი ჰყავს, პენსიების საკითხი აუცილებლად მოგვარდება. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილემ მირკო შილბახმა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ოფისში აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ზუგდიდის ზონაში მოქმედი, გაერო-ს პოლიციის მთავარ მრჩეველს ჯოზეფ ბოდას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის საჩუქარი - 2 000 ევროს ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობა პირადად გადასცა. გაერო-ს პოლიციის აფხაზეთის ტერიტორიაზე ამოქმედების შემთხვევაში, გერმანიის საელჩო აფხაზურ მხარეს პოლიციის აფხაზური ქვედანაყოფის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფას ჰპირდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრმა ნიკა გვარამიამ საქართველოს მთავრობას საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტში კიდევ ერთი ცვლილების შეტანა შესთავაზა. გვარამიას განცხადებით, გარდამავალ დებულებაში უნდა ჩაინეროს, რომ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა შეაჩერებს საჯარო სამსახურში მყოფი პირებისათვის დანამატებისა და კომპენსაციების გაცემას. ამ პერიოდის განმავლობაში კი მთავრობას მიეცემა საშუალება, დახვეწოს ერთიანი მიდგომა საჯარო სამსახურში მყოფი მოხელეების მიმართ. კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი მოუწოდებს მთავრობას, გაიზიაროს ნიკა გვარამიას ინიციატივა და საჯარო სამსახურში მყოფი პირებისათვის კომპენსაციების, ჩინებისა და სახელფასო დანამატების გაცემა მხოლოდ ერთი წლით შეწყდეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "პენსიონერთა მოთხოვნას პენსიის სტატუსი და დამსახურების მიხედვით გაცემის შესახებ დამატებით 300 მილიონი ლარი სჭირდება, რაც ბიუჯეტს არ გააჩნია," - ამის შესახებ განაცხადა გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ გააკეთა. როგორც ნადირაძემ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, დამატებით 300 მილიონი ლარის მოძიება ამ ეტაპზე შეუძლებელია. "იქნებ ვინმემ მითხრას, სად დევს ეს 300 მილიონი. როგორც ჩანს, ამ პენსიონერებს შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდი უფრო მოსწონდათ, როდესაც პენსია 14 ლარი ჰქონდათ და იმასაც ვერ იღებდნენ," - განაცხადა ნადირაძემ. **ინტერპრესნიუსი**

აქცია - ერთადერთი გზა ყურადღების მისაქცევად

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1992 წელს 3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღის მიზანია ხელი შეუწყოს უნარშეზღუდულების საზოგადოებაში სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრირებას.

ლამარა შაყულაშვილი
გორიდან

ქალბატონი თინა ბრეგვაძე გორში ცხოვრობს. ის ფიზიკურად უნარშეზღუდულია და ეტლით გადაადგილდება. სამი შვილის დედა სულიერად არ გატყდა, გადაწყვეტა ებრძოლა თავისთვის, ოჯახის წევრებისთვის, მათთვის, ვისი მდგომარეობაც მისას წვეთი წყალივით ჰგავს და უნარშეზღუდულთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა.

- ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდი, თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ უნარშეზღუდული ადამიანები გვერდით დამიდგნენ და მეც დავიჯერე, რომ ვიღაცას ვჭირდები. ახლა ვთვლი, რომ აღარ ვარ ზედმეტი ტვირთი არც ახლობლების და არც გარშემომყოფთათვის. ამ ორგანიზაციაში ჩვენი რეგიონის ასამდე უნარშეზღუდულია გაერთიანებული.

სამწუხაროდ, მინიმალურად ვართ უზრუნველყოფილნი საკანონმდებლო ბაზით. ამას რეგიონების დედაქალაქისგან განსხვავებული მძიმე სოციალური ფონიც ემატება.

შიდა ქართლში იმის ზუსტი სტატისტიკაც არ არსებობს, თუ რამდენი ფიზიკური უნარშეზღუდულობის ადამიანი ცხოვრობს, რამდენს შეუძლია გადაადგილება და რამდენს არა.

პროექტის ფარგლებში თხუთმეტმა უნარშეზღუდულმა ადამიანმა ისწავლა კომპიუტერზე მუშაობა და ინგლისური ენა. უკვე ამზადებენ კომპეტიკურ საცხებს, იციან ფეხსაცმელების კერვა. ახლა ვვინდა მამაკაცებს მანქანის მართვა და შეკეთება შევასწავლოთ. გავხსენით ინტერნეტ-კაფე, სადაც უნარშეზღუდულები მუშაობენ.

ჩვენს ქალაქში ეტლით გადაადგილების არანაირი საშუალება არ არსებობს. არ არის არც სპეციალური ტრანსპორტი. ევროპის ქვეყნებში უნარშეზღუდულებს გადაადგილების თანხას სახელმწიფო უხდის, აქ კი ჩვენი სახსრებითაც უხალისოდ გვემსახურებიან. ავტობუსი გვყავდა, მაგრამ გაგვიძარცვეს. კომპიუტერები მოგვპარეს. პოლიციამ კი ჯერჯერობით ვერაფერი გაარკვია.

ადგილობრივ ხელისუფლებას ქალაქში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, გზის გადასასვლელ ადგილებზე "პანდუსების" გაკეთების თხოვნით მივმართეთ, რადგან ბევრი უნარშეზღუდული საერთოდ ვერ დგება ლოგინიდან. სპეციალური ასასვლელის არქონის გამო კი მათთან მისვლაც კი შეუძლებელია. ჩვენნაირ ადამიანებს არანაირი კომუნალური შეღავათი არ ეხებათ. არადა, ზოგიერთს ოჯახის წევრიც არ ჰყავს და მარტო ცხოვრობს. ორგანიზაციის შენარჩუნებისთვის ჩვენი ქალაქის ადგილობრივ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ უნარშეზღუდულთა მომჭელების თუნდაც 1 საშტატო ერთეული და დარაჯის დასაფინანსებელი თანხა.

ვფიქრობ, ქვეყნის კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა იყოს ისეთი კანონი, რომელიც ჩვენს უფლებებს დაიცავს და სოციალური დაცვის გარანტი იქნება. თუმცა, რაც კანონით არის დადგენილი, ჩვენს შემთხვევაში ისიც არ სრულდება. მაგალითად, უნარშეზღუდულებისთვის ადაპტირებული შესასვლელები გორში სულ რამდენიმეა. ნუთუ ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალაქში არაფერი აშენებულა?

ყველაფრის მიუხედავად, ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ. ახლა აქციას ვგეგმავთ. ვეცდებით, უნარშეზღუდულების პრობლემების ფართოდ გაშუქებით საზოგადოების და ხელისუფლების ყურადღება მივიპყროთ.

P.S. გორის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელმა, კოტე თავზარაშვილმა გვითხრა, რომ გაითვალისწინებენ უნარშეზღუდულთა სრულიად სამართლიან მოთხოვნას და მომავალი წლის ბიუჯეტში დაწესებულებებში, საცხოვრებელ სახლებსა და სუპერმარკეტებში "პანდუსების" თანხასაც გაითვალისწინებენ. როგორც ქალაქის მთავრობა გვპირდება, ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იქნება, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება.

ულტიმატუმის ვადა გადის

რუსი სამშვიდობოების შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ერთ-ერთი მუხლით, მთავრობას დავალებული ჰქონდა, რომ 1 დეკემბრამდე საკანონმდებლო ორგანოში წარედგინა პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმების რეალიზების დეტალური სამოქმედო რუკა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, უსაფრთხოების და სხვა ასპექტების გათვალისწინებით. მთავრობამ დავალება შეასრულა და გუშინ დეპუტატების წინაშე წარდგა.

გიორგი ასანიშვილი

საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გაერთიანებული სხდომა, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის თქმით, დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაციები კონფლიქტის ზონებში დღეს არსებული ვითარების თაობაზე და გადაამოწმეს, თუ როგორ მიმდინარეობს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ცალკეული პუნქტების შესრულება.

ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გოგა ხაინდრავამ ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმის ირგვლივ ისაუბრა, ირაკლი ალასანია კი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივებს შეეხო.

"განვიხილეთ აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით განთავსებული რუსული სამშვიდობო ძალების შემდგომი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ თემაზე საჯაროდ მსჯელობა არასწორად მიმაჩნია," - განუცხადა ჟურნალისტებს აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელმა, რომელმაც საკომიტეტო მოსმენა პირველმა დატოვა.

სიტყვაუხვობით და კონკრეტიკით არც სხვები გამოირჩეოდნენ. გივი თარგამაძის თქმით, კომიტეტების გაერთიანებულ სხდომას რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა, გუშინდელი მოსმენა გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას მაინც იძლევა.

"დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კონფლიქტის ზონებში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მეტიც, ის კიდევ უფრო დამძიმდა. საჭირო იყო საკომიტეტო მოსმენის დროს ყოველივე ამის დოკუმენტურად დადასტურება, რათა რუსი სამშვიდობოების ოპერაციის შეწყვეტა პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში მოხდეს," - აცხადებს გივი თარგამაძე.

ერთი სიტყვით, საქმე იქით მიდის, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო შეთანხმებების დენონსირებას მოითხოვს და დააყენებს საკითხს - 2006 წლის 15 თებერვლიდან და 1 ივლისიდან რუსი სამშვიდობოების, საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის შესახებ.

კომიტეტების გაერთიანებული სხდომა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.

ელექტროენერგიის დატაცება ქუთაისში

"საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (სგსც) ქუთაისში, დეპოს ქუჩაზე ჩატარებული შემოწმების შედეგად, ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები აღმოაჩინა. დეპოს ქუჩის მცხოვრებლებს მიმდებარე ქუჩების ტრანსფორმატორებიდან ხაზები არალეგალურად ჰქონდათ გადმოყვანილი.

აღნიშნული აქტები განხილვისათვის სასამართლოს გადაეცემა. "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" მიხედვით, ელექტროენერგიის დატაცების ფაქტზე განსაზღვრულია ჯარიმები. კერძოდ, ფიზიკური პირები, რომლებიც პირველად იქნებიან მხილებულნი ელექტროენერგიის დატაცებაში, 600 ლარით დაჯარიმდებიან. განმეორებით ჩადენილი ანალოგიური ქმედებისთვის ჯარიმა 1 200 ლარამდე გაიზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ 29 ნოემბერს სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ცენტრალური ფილიალის ოფისთან გამართული აქციის მონაწილეებს შორის დეპოს ქუჩის მცხოვრებლებიც ითხოვდნენ ელექტროენერგიის მოწოდების აღდგენას. აქციის მონაწილეებს შეხვდა ფილიალის დირექტორი შალვა რუხაძე. მისი განცხადებით, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად დაფარვამდე არც ერთი გათიშული ტრანსფორმატორი არ ჩაირთვება. ასევე, არავის ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს კვების სხვა წყაროებიდან უკანონოდ გადმოყვანილი ელექტროენერგიით, გარდა ნომინალური სქემისა.

ამასთან, ქუთაისის მომსახურების ცენტრის მენეჯერის გიგა გრიგოლაშვილის გადაწყვეტილებით, სამსახურიდან იქნენ გათავისუფლებული ის თანამშრომლები, რომლებიც პასუხს აგებდნენ აღნიშნულ ტრანსფორმატორებზე. ენერგოკომპანია ელექტროენერგიის დატაცების ფაქტების აღმოსაჩენად რეიდების ჩატარებას მომავალშიც გააგრძელებს. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხის

მთავრობას და პენსიონერებს ერთმანეთის არ ესმით

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ოპოზიციის ლოზუნგების გაბათილებას უმრავლესობა თავისი ლოგიკით ცდილობს. პარლამენტარ ნოდარ გრიგალაშვილს კარგად ესმის, რომ 38 ლარს 300 ლარი სჯობს, **"მაგრამ დღეს ქვეყანას მეტი საშუალება არ აქვს. ორი წლის წინ ადამიანებს 14-ლარიანი გაყინული პენსიის აღებაც არ შეეძლოთ."**

უახლოესი წარსული, როგორც თავად ამბობენ, პენსიონერებსაც კარგად ახსოვთ. აქციაზე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ, თავიანთი სათქმელი რიგითმა მოქალაქეებმაც თქვეს. ოპოზიციას კი ხშირად უწევდა იმის გამეორება, რომ ისინი მთავრობის გადადგომას კი არ ითხოვდნენ, არამედ კანონპროექტში შესატან ცვლილებებს აპროტესტებდნენ.

"კაცს, თავისი ცხოვრების განმავლობაში რომ ქურდობდა, 65 წლის რომ გახდება, მასაც 28-ლარიანი პენსია უნდა მისცენ და მეც, რომელსაც მუშაობის მრავალწლიანი სტაჟი მაქვს?" - კითხვა დასვა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

პენსიონერთა აქცია პარლამენტის შენობის წინ.

ᲘᲚᲘᲐ ᲔᲚᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"28-ლარიან პენსიას ვიღებ. ძველი გაანგარიშებით, 35-წლიანი სამუშაო სტაჟისთვის პენსია 125 მანეთი მაინც უნდა დაენიშნათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მთავრობას ჩვენი არ ესმის," - აღნიშნა პენსიონერმა დოდო გაგუამ.

მოგვიანებით, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში გამართულ სხდომაზე, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ აღნიშნა, იმისთვის, რომ სახელმწიფომ პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გასცეს, ბიუჯეტში დამატებით 300 მილიონი ლარია საჭირო, რაც ბიუჯეტს არ გააჩნია. **"როგორც ჩანს, ამ პენსიონერებს შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდი უფრო მოსწონდათ, როდესაც პენსია 14 ლარი ჰქონდათ და იმასაც ვერ იღებდნენ,"** - განაცხადა მან.

ჯანდაცვის კომიტეტის სხდომა, სადაც საპენსიო რეფორმის საკითხებს განიხილავდნენ, ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა.

საღამოს პენსიონერების მოთხოვნებს კიდევ ერთი - "უმიზეზოდ" ჩართული მოცეკვავე შადრევნის გამორთვის მოთხოვნაც დაემატა, რომელმაც პარლამენტის წინ შეკრებილები დაასველა...

ხალხის რჩეულები გადაწყვეტილებებს მუშტი-კრივის ფონზე იღებენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ძალები მთავრობის ახლად დანიშნულმა წევრებმაც მოსინჯეს. ყველაზე მეტად თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი, ყოფილი "კმარელი" ლაშა მაქაცარია და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი უდესიანი აქტიურობდნენ.

სანამ საკრებულოს დერეფანში დეპუტატებს შორის საქმის გარჩევა მიმდინარეობდა, საკრებულოს რამდენიმე წევრმა, საარჩევნო ურნაში ბიულეტენების ერთიანად ჩაყრის ხარჯზე, ქალაქის მთავრობის დამტკიცება უპრობლემოდ შეძლო.

თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება: დარბაზში მარტო დარჩენილ უმრავლესობას არც ბიუჯეტის დამტკიცება გასჭირვებია.

ქ. თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი, 2005 წლის ბიუჯეტთან შედარებით, დაახლოებით, 122 მილიონი ლარით მცირე იქნება.

ყველაზე სოლიდური ბიუჯეტი კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ექნება, რომელიც 2006 წელს 127 მლნ 045 ათასი ლარით დაფინანსდება. აქედან, გზების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის - 60, გარე-განათების მოსაწესრიგებლად - 13, ფასადებისთვის - 6, დაგვა-დასუფთავებისათვის კი 13 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

მომავალ წელს თბილისის "მეტროპოლიტენის" ბიუჯეტი 31 მლნ 750 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც 13 მლნ 500 ათასი ლარი ვაგონების მოდერნიზაციისათვის უნდა დაიხარჯოს.

37 მლნ 600 ათასი ლარის გამოყოფა "თბილწყალკანალისთვის" იგეგმება. 7 მლნ 125 ათასით - ჯანდაცვის საქალაქო სამსახური, 12 მლნ 564 ათასი ლარით კი განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურები დაფინანსდება.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხარჯები მომავალ წელს 11 მილიონ 495 ათასი ლარი იქნება. აქედან, 7 მლნ ლარი ახალი მუნიციპალური ავტობუსების შესაძენად არის გათვალისწინებული.

რუსეთს არ მოსწონს ცხრა ქვეყნის დემოკრატიული არჩევანი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"დღეს კითხულობენ, მიმართულია თუ არა დემოკრატია რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ - რა თქმა უნდა, არა. დემოკრატიული განვითარება და დემოკრატიული ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, რუსეთისთვის არის სასარგებლო," - აღნიშნა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ **"რაც უფრო დემოკრატიული და მშვიდობიანი ხდება საქართველო, ქვეყანაში მით უფრო უკეთ ესმით მეზობელი რუსეთის ინტერესები."**

გარდა ამისა, მისივე თქმით, დემოკრატიული პროცესების ზეგავლენით **"შეიძლება დიქტატორების შეხედულებებიც შეიცვალოს... მათ შეიძლება საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება შეიცვალონ, რადგან დემოკრატიულმა პროცესებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ავტორიტარული რეჟიმის შეცვლას. შესაძლოა, ისინი დემოკრატიულ სისტემებად გარდაიქმნას და ეს ჩვენს რუს კოლეგებსაც კარგად ესმით,"** - დასძინა სააკაშვილმა.

"ჩვენი ინიციატივის მიზანი არ არის მიმართული მესამე ქვეყნებისა თუ ინსტიტუტების წინააღმდეგ, ეს არის ღია დიალოგი დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის მომხრეებს შორის," - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ. მან საქართველოს პრეზიდენტს, **"როგორც საერთო ინიციატივის თანაავტორსა და სულისჩამდგმელს,"** მადლობა გადაუხადა.

იუშენკომ მოუწოდა ბალტია-შავი ზღვის-კასპიის რეგიონის ქვეყნებს, "ეზიარონ სუამს" და იმედი გამოთქვა, რომ სუამის საქმიანობა უფრო აქტიური გახდება.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს სწრაფვას დემოკრატიული და თავისუფალი ევროპის გაძლიერებისაკენ," - განაცხადა ფორუმზე აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლა დობრიანსკიმ. მისი თქმით, რეგიონის ქვეყნებს შეუძლიათ, დემოკრატიის განვითარებაში თავიანთი მეზობლების გამოცდილებას და დახმარებას დაეყრდნონ, რომლებმაც ასევე განვითარების დემოკრატიული გზა აირჩიეს.

მოსკოვში ეს მოვლენა უკვე არამეგობრულ ნაბიჯად შეაფასეს. **"ამ ფორუმის მონაწილეებს არა რაიმე კონსტრუქციული პროგრამა, არამედ მხოლოდ ანტირუსული პოზიციები აერთიანებთ,"** - აცხადებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევი. მისი თქმით, **"ეს ისეთივე მკვდრადშობილია, როგორც ადრე შექმნილი სუუამი, და ასევე ნებისმიერი პროექტი, რომელიც რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საწინააღმდეგოდ იქმნება."**

თავის მხრივ, რუსი ექსპერტის, მოსკოვის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ვიქტორ კრემენიუკის აზრით, ახალშექმნილი ფორუმი მხოლოდ დეკლარაციებით არ შემოიფარგლება.

"ეს არის პასუხი რუსეთში მომხდარ შემობრუნებაზე, გადახვევაზე დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების გზიდან. ეს დასავლეთისა და დსთ-ში არსებული გარკვეული ძალების კომბინირებული პასუხია. თუ რუსეთი ამ მიმართულებით სვლას განაგრძობს, ეს ნაწილი წავა სულ სხვა მიმართულებით. მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ სერიოზული სიგნალია, ჯერჯერობით, არც ისე ძლიერი, თუმცა ყველაფერი წინაა. დროთა განმავლობაში, რასაკვირველია, ეს სივრცე ბელარუსსაც შთანთქავს. და მთელი ეს სივრცე, ბალტიისპირეთიდან აზერბაიჯანამდე, დასავლეთისაკენ წავა. ჩვენ კი ქარიმოვი და ნიაზოვი დაგვრჩება. ნაზარბაევიც კი უკვე იქით იყურება," - აცხადებს ექსპერტი.

კიევში გამართული ფორუმის მონაწილეები დემოკრატიულ გარდაქმნებზე მსჯელობას 2006 წლის გაზაფხულზე ბუქარესტში, შავი ზღვის დიალოგისა და პარტნიორობის ფორუმზე, ვილნიუსში მაისში დაგეგმილ ბალტია-შავი ზღვის რეგიონის სამიტზე და თბილისში, 2006 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილ ფორუმზე გააგრძელებენ.

24 საათი

მოკლედ

შეურაცხყოფილი ბერეზოვსკი და "თალლითი" დემოკრატები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბორის ბერეზოვსკის მონაწილეობაზე იუშჩენკოს საარჩევნო კამპანიაში თავდაპირველად, უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა, დღეს კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლეონიდ კრავჩუკმა დაიწყო ლაპარაკი.

ცხადია, კრავჩუკის "გამოხდომა" შეუმჩნეველად ჩაივლიდა, მით უფრო, რომ იუშჩენკოს უახლოესმა გარემოცვამ კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავად რუსმა ოლიგარქმა დაადასტურა ის, ვითარება, შეიძლება ითქვას, დრამატული გახდა, ხოლო უმაღლეს რადაში ამ შემთხვევის გამოსაძიებლად დროებითი კომისიაც შეიქმნა.

გასულ თვეში პლატონ ელენინის სახელით ლონდონში მცხოვრებმა ბერეზოვსკიმ ოფიციალურად მოსთხოვა "ნაშა უკრაინა"-ს ლიდერებს ბოდიშის მოხდა და მის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა. **"მე მათ ფული გადავურიცხე, მათ კი დღემდე არ მოუწოდებიათ ანგარიში, თუ როგორ დახარჯეს ეს ფული. ახლა თუ იუშჩენკოს გარემოცვა საერთოდ უარყოფს ამ ფულის მიღებას, ამას თაღლითობა ჰქვია, რომელიც, სხვათა შორის, სისხლის სამართლის დანაშაულია,"** - განაცხადა ბერეზოვსკიმ უკრაინულ გაზეთ "Segodnya"-სთან ინტერვიუში. ბერეზოვსკის ადვოკატებმა უკრაინის ხელისუფლებას ოფიციალური წერილით მიმართეს და ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში ჩივილით დაიმუქრნენ.

გუშინ კი ბორის ბერეზოვსკიმ "ნარინჯისფერთა" მიმართ თავისი ფინანსური "პრეტენზიები" 31 მილიონამდე გაზარდა - ამის შესახებ, ჟურნალისტებთან საუბარში ლონდონიდან დაბრუნებულმა უკრაინის უმაღლესი რადის საგამოძიებო კომისიის წევრმა იური სოლომატინმა განაცხადა.

"მე ხელთ მაქვს იმ სამი ხელშეკრულების ასლი, რომელიც უკრაინაში ფულის გადმორიცხვის მექანიზმს ააშკარავებს," - ამბობს სოლომატინი.

მისივე თქმით, ეს მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ დაახლოებით ორი წლით ადრე, გიბრალტარში დაარსებულ კომპანიასა და აშშ-ს რეგიონში დარეგისტრირებულ ფირმას შორის (მისი მთავარი მოწილე დავით ჟვანიაა) გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ბერეზოვსკის მხარეს უწევდნენ სხვადასხვა სახის მომსახურება-კონსულტაციებს, უკრაინაში საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებას, მარკეტინგულ კვლევას და ა.შ., ხოლო სანაცვლოდ მილიონობით დოლარს იღებდნენ.

"ხელშეკრულებაში სიტყვაც არ არის ნახსენები დემოკრატიის გავრცელებაზე, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობაზე ან საარჩევნო კამპანიაზე," - აღნიშნავს სოლომატინი.

საგამოძიებო კომისიის ინფორმაციით, როგორც წესი, თითოეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 1,5-2 მლნ დოლარის გადახდა. სოლომატინის თქმით, პირველი ტრანში 1 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა და ბერეზოვსკის კუთვნილი ფირმიდან, საშუამავლო ბანკის "დოიჩებანკ ამერიკან კომერშლ ტრასტ"-ის საშუალებით განხორციელდა. მიმღები ბანკი იყო ლატვიაში არსებული "ტრასსა კომერც ბანკი".

ამ ბანკში ანგარიში ჰქონდა ფირმას, რომლის უპირატესი მფლობელი დავით ჟვანიაა. **"თუმცა, ვინ დგას ფირმის სათავეში, ან ვინ იყო ფულის მიმღები ნდობით აღჭურვილი პირი, ჩვენ ახლა უნდა დავადგინოთ,"** - ხაზს უსვამს სოლომატინი.

ამგვარად, თუ სოლომატინს სიტყვებს მოვიშველიებთ, მექანიზმი გამოაშკარავებულია. **"ჩვენ დაუყოვნებლივ გადავცემთ ამ დოკუმენტებს გენერალურ პროკურატურას, უშიშროების საბჭოს და სახელმწიფო ფინანსურ მონიტორინგს,"** - ამბობს საგამოძიებო კომისიის წევრი.

ძნელი სათქმელია, როგორი იქნება უკრაინის გენერალური პროკურატურის პასუხი წარდგენილ დოკუმენტებზე. სავარაუდოდ, ამ საქმის გამოძიების დასრულება ნაკლებად უწერია - იუშჩენკოს საარჩევნო კამპანიის უკანონოდ დაფინანსების აღიარებას ხომ მთელი სურათის შეცვლა ძალუძს უკრაინაში... თუმცა, ერთი ცხადია, ბერეზოვსკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მან ისეთი რამ იცის, რაც "ნარინჯისფრებს" სახელს გაუტეხს.

პუტინის რუსეთის ფორმულა - "ერთი ქვეყანა - ერთი კომპანიაა"

კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომელსაც პუტინი და მისი გარემოცვა, ისედაც მორჩილ დუმაში აქტიურად ლობირებს, თვალნათლივ წარმოაჩენს პუტინის რეალურ სახეს, წერს გაზეთ "The Boston Globe"-ს მიმომხილველი.

"ეს არის ანტიდემოკრატიული მმართველის ნაბიჯი, რომელიც თავისი სპეცსამსახურების პარანოიდული იდეებით მოქმედებს, მას მიაჩნია, თითქოს უფლებების დამცველი, საგანმანათლებლო და სამედიცინო უცხოური ორგანიზაციები წარმოადგენენ დასავლეთის დაზვერვის სამსახურების ფარულ ინსტრუმენტს, რომლებიც მზად არიან, ორგანიზება გაუკეთონ სახალხო მღელვარებას რუსეთში, იმის მსგავსად, როგორადაც საქართველოსა და უკრაინაში დაემხო კორუმპირებული რეჟიმები," - ნათქვამია სტატიაში.

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ აშშ-ს სენატორებმა ჯეიკ კემპმა და ჯონ ედვარდსმა წერილით მიმართეს ჯორჯ ბუშს და გააფრთხილეს, რომ პუტინის მიერ მომზადებული კანონპროექტი "რუსეთში გააქრობს პლურალიზმს და ზიანს მიაყენებს კონტაქტებს ჩვენს საზოგადოებებს შორის". მათ მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება, კრემლმა დახუროს არასამთავრობო ორგანიზაციები უბრალოდ იმის გამო, "რომ მათი პოზიცია და საქმიანობა მას უხერხულად ეჩვენება".

თუკი კრემლი შეძლებს გაამყაროს კონტროლი რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების ბოლო თავისუფლების კუნძულზე, მაშინ ბუშმა და სხვა დემოკრატიულმა ლიდერებმა უნდა უთხრან პუტინს, რომ იანვარში ის ვერ გახდება "დიდი რვიანის" თავმჯდომარე.

კანონპროექტი აიძულებს არასამთავრობოებს, რეგისტრაცია გაიარონ რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში, კრძალავს მათ დაფინანსებას უცხოელების მიერ და მათში უცხოელების საქმიანობას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა Greenpeace, Amnesty International-ი რუსეთში უნდა დაიხუროს, ან უნდა დარეგისტრირდნენ, როგორც რუსეთის იურიდიული პირები.

ასეთი მეთოდებით, კანონმდებლობის საფუძველზე, რუსულ სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლის დამყარება ისეთივე მოვლენაა, როგორიც კორუმპირებული სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით გიგანტური ენერგეტიკული კონგლომერატის - იუკოსის კონფისკაცია და მისი ხელმძღვანელის - მიხაილ ხოდორკოვსკის შორეული აღმოსავლეთის გამოსასწორებელ ბანაკში გადასახლება.

ხოდორკოვსკის მეგობრის, ლეონიდ ნევზლინის მიერ ჰარვარდში გაკეთებული განცხადებით, პუტინის რუსეთის ფორმულა "ერთი ქვეყანა - ერთი კომპანიაა".

პუტინს უნდა აუხსნან, რომ მას არ აქვს უფლება, რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების კონფისკაცია მოახდინოს ისეთივე მეთოდებით, როგორითაც მოახდინა სატელევიზიო არხებისა და ნავთობის კომპანიების კონფისკაცია.

ჯო-ეიჩ-ენი



მცირე და საშუალო საწარმოთა საყურადღებოდ!

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა" 2005 წლის 1 დეკემბრიდან 2006 წლის 20 იანვრამდე აცხადებენ ყოველწლიურ მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურსს შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო მცირე ბიზნეს კომპანია ან ინდმეწარმე
- საუკეთესო საშუალო ბიზნეს კომპანია
- საუკეთესო ინოვაცია მცირე და საშუალო ბიზნესში (ახალი პროდუქციის, სერვისის ან ტექნოლოგიების დანერგვა)
- საუკეთესო ექსპორტიორი მცირე და საშუალო ბიზნესიდან
- საუკეთესო ფერმერი

კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსის შედეგებს შეაჯამებს და გამარჯვებულებს, თითოეული ნომინაციის მიხედვით გამოავლენს პალატასთან შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი ბიზნესმენები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

შემუშავებულია კონკურსში მონაწილეობის პირობები. დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შემდეგ კოორდინატებზე:

ტელ: 22 30 63; 25 07 76
ფაქსი: 23 57 60
ელ-ფოსტა: info@gcci.ge
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.11

მოკლედ

ბელორუსის და მისი ხელისუფლების ორგანოების დისკრედიტაცია პატიმრობით ისჯება

ბელორუსის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ბელორუსის და მისი ხელისუფლების ორგანოების დისკრედიტაციისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

კანონპროექტს 97-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 4 წინააღმდეგი იყო.

კანონპროექტის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში შედის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც "ბელორუსის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ან საერთაშორისო მდგომარეობის, ბელორუსის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის განზრახ ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სახელს უტეხს ბელორუსის ან მისი ხელისუფლების ორგანოებს, 6 თვემდე პატიმრობით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება". 6 თვემდე პატიმრობას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს უცხო სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიმართვა მოწოდებით, ჩაიდინონ ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ბელორუსის ეროვნულ უსაფრთხოებას, მის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. გარდა ამისა, ჯარიმით ან 6 თვემდე პატიმრობით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება ლიკვიდირებულ ან არარეგისტრირებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან რელიგიურ ორგანიზაციებში მონაწილეობა. ასევე 6 თვემდე პატიმრობა ან 2 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ პირებს, ისეთი ჯგუფური ქმედებების ორგანიზებისა და დაფინანსებისთვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. უახლოეს ხანებში კანონპროექტი რესპუბლიკის საბჭომ (პარლამენტის ზედა პალატამ) და პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცონ. **ინტერპრესნიუსი**

აზერბაიჯანი სუამში გააქტიურებას აპირებს

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი სუამის ფარგლებში ქვეყნის გააქტიურებას ემხრობა.

"აზერბაიჯანი მეტად საჭიროდ მიიჩნევს სუამის ფარგლებში ქმედებების კოორდინაციას. ჩვენ მზად ვართ უკრაინასთან და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა სახელმწიფოებთან სტრატეგიული თანამშრომლობისათვის," - აცხადებს ელმარ მამედიაროვი. მისი თქმით, სუამი აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს. **მედიანიუსი**

FM ცნობა 98.0 უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია მაია ნადირაძე

ალექსანდრე ელისაშვილი: ორმაგი პატივია ჩვენთვის თქვენი სტუმრობა, რადიოებში არ დადიხართ საერთოდ...

მაია ნადირაძე: ეს ცუდია თუ კარგია, არ ვიცი, მაგრამ ვარჩევ მედიას არა პოზიცია-ოპოზიციონერობის მიხედვით, არამედ - ხარისხის მიხედვით. სადაც მომწონს, დავდივარ.

ალექსანდრე ელისაშვილი: საინტერესო ამბები ხდება იმერეთში... ბობოხიძემ პრესკონფერენცია გამართა და თქვა, რომ თანამდებობა დატოვა... ირაკლი იმნაიშვილის პოზიცია არ ვიცით.

მაია ნადირაძე: ძალიან უსიამოვნო ფაქტი მოხდა, მართლა არ გაუმართლა იმერეთს. არ მინდა, ხელისუფლების დამცველი ვიყო, მაგრამ თუ წერ ან ლაპარაკობ ხელისუფლებაზე, ბევრი რამ უნდა მოითმინო. სიტყვით შეიძლება უფრო მეტი შეურაცხყოფა მოგაყენოს ვინმემ, ვიდრე ხელის დარტყმით.

ალექსანდრე ელისაშვილი: 12 საათზე უნდა გამართულიყო პენსიონერთა აქცია. თქვენ მანამდე პენსიონერებს სოლიდარობისკენ მოუწოდეთ.

მაია ნადირაძე: ადამიანებს ეგონათ, რომ ყველანაირი პენსიის ნიველირება ხდებოდა. არავითარ შემთხვევაში, დიფერენცირებული პენსიები არ უქმდება. მათ, ვისაც საბაზო სოციალური პენსია აქვს, ეზრდება 10 ლარით. ეს არის 10 მილიონზე მეტი თანხა. საერთო ტენდენცია ისეთია, რომ პენსია არავის უმცირდება. უმცირდება მათ, ვისაც ზღვარგადასულად მაღალი პენსია აქვს, ძველი ხელისუფლების მიერ მიღებული, და ჩვენ ვცდილობთ,ეს ნორმები დავარღვიოთ. ხელისუფლების გადაწყვეტილება იქითკენ არის მიმართული, რომ საბაზო პენსია მაქსიმალურად მიუახლოვდეს საარსებო მინიმუმს. მერე შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პენსიები დამსახურებისა და კვალიფიკაციის მიხედვით განაწილდეს. ოპოზიცია ამბობს ასეთ რამეს, ეს არ არის ღირსების საკითხი, ეს მდარე დემაგოგიაა... თუ ადამიანი 40 წელი მუშაობდა, მისი პენსია 3 ლარით მეტი რომ იყოს, შეიცვლება რამე? ჩვენ საომარი მდგომარეობა გვაქვს. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ტანკების გრუხუნს. ჩვენი დიდი მეზობელი გვიმზადებს სიურპრიზებს. წელს გაზი გაძვირდება, ეს დაჯდება 26 მილიონი წელიწადში. ხელისუფლება არ აპირებს, რომ ეს თანხა მოსახლეობას გადაახდევინოს. ეს არ არის ხელისუფლების მხრიდან სოლიდარობა? ამის გარდა, ყველაზე ღარიბი ფენისთვის იქნება უფასო დაზღვევა. ესეც 25 მილიონამდე ჯდება. ეს თანხა რომ პენსიონერებზე გადავანაწილოთ, ძალიან ცოტას შეცვლის. არის თუ არა ეს გადაწყვეტილება სამართლიანი? როცა ხელისუფლება ცდილობს, ფსიქოლოგიურად გაამაგაროს პენსიონერები, თუნდაც 10 ლარის მომატებით, ან უღარიბეს ფენას ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ხელი შეუწყოს, არის თუ არა ეს სამართლიანი?

რადიომსმენელი: ადრე თქვენი დანახვა მიხაროდა ეკრანზე, მაგრამ არ გრცხვენიათ, რომ იცავთ ხელისუფლებას....ცოცხლად ვიმარხებით, ღირსების კი არა, სიცოცხლის შენარჩუნება გვიჭირს...

მაია ნადირაძე: რაც ამ წუთში შესაძლებელია, კეთდება, პენსია ყველას ემატება. ამის გარდა, ხელისუფლება ცდილობს, რომ გასადახადების ნაწილში შეღავათი გაგიწიოთ. უცნაურად მეჩვენება, რომ როცა ვაკეში კენჭს ვიყრიდი, ქუჩაში ვხვდებოდი ადამიანებს. ხალხი მეუბნებოდა, ჩვენი კუთვნილი 14 ლარი მოგვეცით და თქვენი მეტი არაფერი გვინდაო. მაშინ ვამბობდი, რომ თუ ხელისუფლებაში მოვალთ, თქვენი პენსია ყოველ ეტაპზე გაიზრდება-მეთქი. მაშინ არ ვფიქრობდი ხელისუფლებაში მოსვლაზე, ეს ჩემი დამოკიდებულების გამოხატვა იყო. დღეს ვერავინ იტყვის, რომ სიტყვა არ შევასრულეთ. მესმის, რომ ადამიანებს უნდათ ჰქონდეთ 150-250 ლარი პენსია, რატომაც არა. მაგრამ ეს ქვეყანა 15 წელი ნადგურდებოდა. ორი წელია, ფეხზე წამოდგომისა და აღმშენებლობის ნიშნები შეიმჩნევა. მხოლოდ პენსიების დარიგება ვერ შექმნის სახელმწიფოს. ქვეყანას სჭირდება ჯარი, საზღვრის დაცვა, ბიზნესის განვითარება, ინფრასტრუქტურა, ელექტროენერგია....რაც ჩამოვთვალე, ამ სფეროებში მნიშვნელოვნად წავიდა ქვეყანა წინ. ფულის ხე რომ მეგულებოდეს, არ დაგზარდებით, 1000-1000 ლარი დამერიგებინა თითოეული თქვენგანისთვის.

რადიომსმენელი: ხელისუფლების პრესტიჟი რომ ამაღლდეს, გუბერნატორმა ჟურნალისტის ცემისთვის პასუხი უნდა აგოს. რაც შეეხება პენსიებს, ვისაც უმუშავია და ვისაც არა, ერთნაირი პენსია რატომ უნდა მიიღოს. თქვენ რომ ატარებთ პარლამენტის სხდომებს გუდაურში, შახტაში ჩაატარეთ ერთხელ სხდომა, როგორ ამოხვალთ მერე გამურული... მეორე საკითხი: რამდენად სწორად მიგაჩნიათ, რომ პარლამენტარი 45 წლის ასაკის შემდეგ მიიღებს პენსიას, მთქნარების მეტს არაფერს აკეთებენ.

მაია ნადირაძე: ჯერ მოისმინეთ და მერე ილაპარაკეთ. არასწორად გაგიგიათ. არველაძემ ის თქვა, რომ ყველა პენსიონერი 65 წლის ასაკიდან მიიღებს პენსიას. როცა მინიმალური პენსია იქნება საარსებო მინიმუმი, მერე შეიძლება საუბარი დამსახურების მიხედვით პენსიების გაცემაზე.

პროტესტის ნიშნად, პატიმარმა თითი მოიჭრა

N5 საპყრობილეში მყოფმა პატიმარმა მუხრან კობახიძემ პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართა და სასამართლო პროცესის წინ "ბრიტვით" თითი მოიჭრა. არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ინფორმაციით, პატიმრის პროტესტი გამოწვია მისი საქმისადმი მოსამართლის გულგრილმა დამოკიდებულებამ.

მუხრან კობახიძე მიიჩნევს, რომ მას უსაფუძვლოდ და უკანონოდ ჰქონდა ბრალი წაყენებული, რის გამოც, თავის დროზე მან საჩივრებით მიმართა, თითქმის, ყველა შესაბამის სტრუქტურას.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ინფორმაციით, მუხრან კობახიძე 2004 წლის 4 აგვისტოს წერეთლის გამზირზე დააკავეს და პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს. ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა კომპიუტერი თავის მოწყობილობით. ეს ფაქტი საკმარისი გახდა, რომ მისთვის ქურდობის ბრალდებით წაეყენებინათ ბრალი, თუმცა თავად მუხრან კობახიძე აცხადებდა, რომ აღნიშნული კომპიუტერი მას მისმა ნაცნობებმა - დავით და მამუკა მეტრეველებმა მისცეს.

მიუხედავად იმისა, რომ მუხრან კობახიძე ასახელებდა პიროვნებებს, რომლებმაც მას გადასცეს კომპიუტერი, გამოძიებას არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია ამ პიროვნებების დასადგენად და მოსაძებნად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გია ფურცელაძემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არც ერთი შუამდგომლობა და, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მუხრან კობახიძეს 5 წლითა და 6 თვით, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მუხრან კობახიძის ინტერესებს ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის ადვოკატი კახაბერ კახაბერი იცავს.

"სასამართლო განხილვის დროს ჩვენ მიერ დაყენებული იყო უამრავი შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ. კობახიძეს ედავებიან, რომ მან მოიპარა კომპიუტერი თავისი კლავიატურით, პროცესორით, მონიტორით, პრინტერით და სხვა ატრიბუტებით. შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა ხელში დაიკავოს ამხელა მოცულობის ნივთები, რადგან ყველაფერი ერთად ძალიან მძიმეა. ამიტომ, დავაყენე შუამდგომლობა, რომ ჩაგვეტარებინა საგამოძიებო ექსპერიმენტი, თუ მოახერხებდა ერთი ადამიანი ამ მოცულობის და წონადობის ნივთების აწევას და მე-7 სართულიდან ჩამოტანას. სასამართლომ ამაზე უარი განგვიცხადა; უარი გვითხრა, აგრეთვე, ბრალდების მოწმეების დაკითხვაზეც. სასამართლომ არ გამოიკვლია დაქტილოსკოპიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომელშიც ნათქვამია, რომ დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი თითისა და ფეხის კვალი არ შეესაბამება მუხრან კობახიძის კვალს; ასევე, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვაზე, რომელიც ადასტურებდა კობახიძის ალიბს", - აცხადებს ადვოკატი კახაბერ კახაბერი. ადვოკატის თქმით, **"მოსამართლის დამოკიდებულება განსასჯელისადმი და საქმისადმი იყო ცინიკური და სწორედ ამ ფაქტმა გახადა იძულებული მუხრან კობახიძე, გამოეხატა პროტესტის უკიდურესი ზომა. განაჩენის გამოტანის წინ მან "ბრიტვით" მოიჭრა მარცხენა ფეხის თითი. თუმცა, მოსამართლეზე არც ამ ფაქტმა იქონია გავლენა და გამოიტანა აბსოლუტურად უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი, რომელიც ჩვენ მიერ აუცილებლად გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში".**

24 საათი

ასლან სმირბა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბათუმის ყოფილი მერი და საზღვაო სანაოსნოს ყოფილი დირექტორი ასლან სმირბა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. **"ასლან სმირბამ სახელმწიფო ზარალის ნახევარი გადაიხადა და თანხის მთლიანად დაფარვის პირობაც დადო"**, - ასეთი განცხადება გააკეთა აჭარის პროკურორმა კახა მაისურაძემ.

ასლან სმირბა რამდენიმე თვის წინ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს და პროკურატურა მას 200 ათასი დოლარის მითვისებას ედავება. სმირბამ 100 ათასი დოლარი უკვე დაფარა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სმირბა წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა, და სადავო თანხის ნაწილიც გადაიხადა, მის წინააღმდეგ აღძრული საქმის წინასწარი გამოძიება ისევ გრძელდება.

ასლან სმირბას ადვოკატის განცხადებით, სმირბას აღმკვეთი ღონისძიება - პატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობით, მისი ავადმყოფობის მოტივით შეეცვალა. **"მან ოპერაცია გაიკეთა, ამოიკვეთა ნაღვლის ბუშტი, გარდა ამისა, ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვა დამატებითი გართულებები ჰქონდა. პატიმრობის პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად რთული იყო. ჩვენ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე შუამდგომლობა დავაყენეთ და სასამართლომ იგი დააკმაყოფილა"**, - აცხადებს ასლან სმირბას ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ ასლან სმირბა ბათუმის პორტის ყოფილი დირექტორი, საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურის ყოფილი უფროსი და ბათუმის ყოფილი მერი იყო; გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრიც. თუმცა, მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძესა და ასლან სმირბას შორის ურთიერთობები დაიძაბა, აჭარაში სმირბას ძლიერი ფინანსური გავლენა დასუსტდა. განაწყენებულმა ასლან აბაშიძემ ერთ დროს მის "მარჯვენა ხელს" მსუყე თანამდებობებიც დაატოვებინა და მსხვილი ბიზნეს წილებიდანაც გამოაგდო. ორ ასლანს შორის ურთიერთობის გაფუჭებას სწორედ სანაოსნოს გამო დაწყებულ გამოძიებას უკავშირებდნენ. საუბარია წლების წინ გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილ 200-ტომიან სანაოსნოს საქმეზე, რომელსაც სანაოსნოს 800-მილიონიანი ქონების "შეჭმაში" ეჭვმიტანილთა

ასლან სმირბამ ზარალის ნახევარის გადახდით მოიპოვა თავისუფლება.

ვრცელი სიაც ახლდა და პირველ სამეულში აბაშიძის შემდეგ ასლან სმირბას გვარიც ფიგურირებდა. სმირბა, მართალია, გენერალურმა პროკურატურამ მაშინ ეჭვმიტანილად გამოაცხადა, მაგრამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოახერხა, რომ მაშინ ასლან აბაშიძის ფავორიტს, გარდა დეპუტატის იმუნიტეტისა, აჭარის ყოფილი ლიდერის პოლიტიკური გავლენაც იცავდა.

ასლან სმირბა სწორედ სანაოსნოს საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს, უფრო ზუსტად, მას სანაოსნოს ქონების - 200 ათასი დოლარის მითვისებაში ადანაშაულებენ.

საქმე ეხება 1999 წლის 29 მარტიდან 22 ივნისამდე პერიოდს, როდესაც სმირბა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. აჭარის პროკურატურის ინფორმაციით, როდესაც სმირბა სანაოსნოს ხელმძღვანელობდა, იმ დროისათვის უცხოეთში მცხოვრები მეგობარი ბიზნესმენის კინტარაიას ანგარიშზე გადარიცხა სანაოსნოს კუთვნილი 200 ათასი დოლარი, რომელიც გემების სარემონტო სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა. თუმცა, როგორც პროკურატურა აცხადებს, ეს თანხა სმირბამ მთლიანად პირადად გამოიყენა.

სისხლის სამართლის საქმე სმირბას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლითაა აღძრული, რაც 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, აბაშიძის ყოფილი გარემოცვიდან ასლან სმირბა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რევოლუციის დღეებში აბაშიძეს განუდგა.

24 საათი

ახლად დანიშნული მოსამართლეებისთვის სემინარი დაიწყო

ახლად დანიშნული მოსამართლეებისთვის სამოსამართლო სწავლების ცენტრში გუშინ სემინარი დაიწყო. ღონისძიებას უცხოელი ექსპერტები, სამართლის პროფესორი დოუ კორფი, პორტუგალიის სამოსამართლო და პროკურატურის სწავლების ცენტრის მაგისტრატების სწავლების ხელმძღვანელი ჟორჟე ბრავო, ასევე, მოსამართლე დაიმარ ლიივო უძღვებიან.

სემინარზე განიხილება სასამართლო გადაწყვეტილებათა წერის ტექნიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების ჭრილში; სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების ზოგადი მოთხოვნა, რომელიც განმტკიცებულია კანონის უზენაესობის პრინციპით; იურიდიული და სამოსამართლო ტერმინოლოგია; სასამართლო დარბაზის მართვა.

სემინარს, რომელიც ევროსაბჭოს დაფინანსებით ხორციელდება, დაესწრება 33 ახლად დანიშნული მოსამართლე.

მედიანიუსი

პროცესზე საქართველოს და აშშ-ს პრეზიდენტებს იბარებენ

ᲘᲮᲘᲚᲔᲗᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინდელ პროცესს ესწრებოდა საქმეში დაზარალებულად ცნობილი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი. როგორც ის აცხადებს, დაინახა, როგორ დავარდა თავისუფლების მოედანზე წითელ კუბოკრულ ცხვირსახოცში გახვეული საგანი. აღნიშნული საგანი ზურგში მოხვდა მასთან ახლოს მდგომ ყოფილ ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს და შემდეგ ასფალტზე დავარდა. კოკოჩაშვილის განმარტებითვე, მან დაინახა რაღაც მცირე დეტალი, თუმცა არსებული საშიშროების შესახებ არ უფიქრია. "არ დამინახავს, ვინ ისროლა ეს საგანი, ვინაიდან მთელი ყურადღება სიტყვით გამომსვლელი პრეზიდენტებისკენ მქონდა მიმართული", - აცხადებს მერაბ კოკოჩაშვილი.

ვლადიმერ არუთინიანი, გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებას სასამართლო პროცესზე, სავარაუდოდ,

არ შეცვლის. მისთვის წაყენებული მძიმე ბრალდებები - ტერაქტის მცდელობა, პოლიციელის მკვლელობა, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების უკანონო შენახვა, ყალბი ბეჭდებისა და დოკუმენტების დამზადება-გამოყენება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება - უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. განსასჯელს კი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების იმედი აქვს.

24 საათი

ომბუდსმენის აპარატმა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მონიტორინგი დაასრულა

გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი მონიტორინგი დასრულდა.

მონიტორინგის შედეგები ომბუდსმენის აპარატში გუშინ შეიტანეს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის განათლებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი ანა ჟვანია აცხადებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მონიტორინგის შედეგად სფეროს მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები შემუშავდა.

"მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად განვიხილავთ, რის შემდეგაც ამ რეკომენდაციების განხორციელება დაიწყება" , - აცხადებს ანა ჟვანია.

მონიტორინგის ჯგუფმა პლაკატების ფორმატიც შეიმუშავა, რომელზეც გარკვევით იქნებოდა აღწერილი ფსიქიკურად დაავადებული პაციენტების, მათი ექიმების, მედპერსონალის (სანიტარი, მედდა) და საავადმყოფოს ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობები.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ფსიქიატრიული საავადმყოფოების შემოწმებას საქართველოს მასშტაბით აპირებენ.

მედიანიუსი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (ქ. ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა N117253900, კოდი: 220101535); Bank of Georgia 0105 Tbilisi, Georgia, Cwift: BAGAGE 22, Gorr.acc. "400213605. LTD POTI SEA PORT" აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს: ახალი საზღვაო ბუქსირის შესყიდვაზე და გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 შესყიდვის ობიექტი

- ახალი საზღვაო ბუქსირი დამზადებული უნდა იყოს საერთაშორისო მეთვალყურეობით და ზედამხედველობით;

- ცურვის რაიონი A -1;

- თანამედროვე სანავიგაციო მოწყობილობებით აღჭურვილი;

- სიმძლავრე 3000 3200?ცხენის ძალა;

- არანაკლებ 35 გემთსაბმელის წევით;

2. საქონლის მოწოდების სასურველი ადგილი და ვადა.

- საქონლის მოწოდება სასურველია პირობით CIF ფოთი, საქართველი;

- საქონლის მოწოდების სასურველი ვადა: 2006 წლის პირველი კვარტალი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2005 წლის 20 დეკემბრიდან 2005 წლის 29 დეკემბრის 16^{00} საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ). ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ აქვთ თუ არა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო ფონდებისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

დ. უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნები)

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება 2006 წლის 05 იანვრიდან 2006 წლის 13 იანვრის 16^{00} საათამდე. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 13 იანვრის 16^{00} საათამდე.

8. სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ ენაზე, ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია-სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით.

ა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია

ჰოლანდიის სამეფოს საელჩო მოხარულია გაცნობოთ, რომ იგი გადავიდა თავის ახალ ოფისში, რომელიც მდებარეობს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკანა მხარეს (ყოფილი ბრიტანთის სალეჩო).

საელჩო განაახლებს მუშაობას 2005 წლის 5 დეკემბერს.

საკონსულო განყოფილება ღიაა ორშაბათიდან ხუთშაბათამდე 9:30-დან 13:00 საათამდე.

ტელეფონისა და ფაქსის ახალი ნომრებია:

საელჩოს ტელეფონი	27 62 00
საელჩოს ფაქსი	27 62 32
საკონსულო განყოფილების ტელეფონი	27 62 22
საკონსულო განყოფილების ფაქსი	27 62 33

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ᲥᲕᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲖᲔ:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გლდანის II".
(ყოფილ მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟა-ფშაველას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმეშენის" შენობის ჩლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფურცელ ფოსტით შემდეგ მისამართზე: Off თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

ქართველებს ვერაფერს გამოაპარებ

როგორც გასული შაბათის "24 საათში" მოგახსენეთ, 23 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე მოწყობილი საზეიმო კონცერტის ობიექტურად გარჩევის და მით უმეტეს კრიტიკის სურვილი, განწყობა იმ დღეებში არ მქონდა. 23 ნოემბერს მთელი საქართველო და მათ შორის მეც, რევოლუციის ორი წლისთავს ვზეიმობდით.

საზეიმო დღეები დასრულდა, მაგრამ კონცერტის გარჩევა, მის გარშემო მითქმა-მოთქმა არა და არ ამოიწურა. საზოგადოების დიდ ნაწილს კონცერტის ბევრი ნომერი კატეგორიულად არ მოეწონა, კონცერტის მსვლელობისას არსებული უხეში ხარვეზები ორგანიზატორებს არ აპატია და ყველაფერი ზედაპირული არაპროფესიონალიზმით, უპასუხისმგებლობითა და პომპეზურობისკენ უსაფუძვლო, უდროო სწრაფვით ახსნა. ქართული საზოგადოება ერთი მხრივ ლოიალური, მეორე მხრივ კი ზედმეტად მომთხოვნი ყოველთვის იყო და დღესაც რჩება. ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ყველაზე გაოგნებულ-შოკირებულ-აღშფოთებული თბილისის მუსიკალური სამყაროა, რომელიც კონცერტის დასრულების პირველივე წუთიდან ამტკიცებდა, რომ ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით ორკესტრისა და გუნდის მიერ შესრულებული ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალი, არც მეტი არც ნაკლები, ჰერბერტ ფონ კარაიანისა და მისი ორკესტრის ერთ-ერთი ჩანაწერი იყო!

არაერთი ჩემზე ბევრად კომპეტენტური, მართლაც პროფესიონალი პიროვნების ნათქვამის მიუხედავად, ამგვარი აბსურდული ამბის დაჯერება გამიჭირდა და ინფორმაციის გადამოწმება, დაზუსტება, პატარა ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება გადავწყვიტე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, თუ მინდოდა ასე მეფიქრა, რომ ატეხილი მითქმა-მოთქმა სრულიად უსაფუძვლო ბრალდება აღმოჩნდებოდა.

ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი, მიკიბულ-მოკიბული, დაბნეული პასუხების მიღების შემდეგ სულ მთლად დავიბენი და გადავწყვიტე, პირდაპირ ნიკა მემანიშვილს დავლაპარაკებოდი და ერთხელ და საბოლოოდ სიმართლე გამეგო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავისი თანაორგანიზატორებისგან განსხვავებით, მემანიშვილმა საკმაოდ გულწრფელად, პირდაპირ აღიარა, რომ საზეიმო კონცერტზე გამოყენებული ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ჩანაწერი უცნობ დირიჟორს (შეიძლება კარაიანსაც) და რომელიღაცა ევროპულ ორკესტრს, გუნდს ეკუთვნოდა და ვინაიდან კონცერტს არანაირი აკადემიური დატვირთვა არ ჰქონია, უფრო ვიზუალურ ეფექტებზე, პირველ რიგში კი შადრევანზე (ყველაფერი თურმე შადრევნის ბრალი იყო) აწყობილი ნამდვილი მასობრივი სანახაობა, ქუჩის შოუ იყო, იგი სხვისი ჩანაწერის გამოყენებაში ვერანაირ დარღვევას ვერ ხედავს. ამ ვერსიაში რაღაც თავისებური ლოგიკა არსებობს, მაგრამ მაშინ რაღა საჭირო იყო ორკესტრანტების მიერ მონდომებული დაკვრის, გუნდის მიერ ანთებულად სიმღერისა და მემანიშვილის მიერ ემოციებითა და გრძნობებით აღსავსე დირიჟორობის ინსცენირება? პირდაპირ გენიალური მუსიკის შესანიშნავი შესრულების ჩანაწერი გაეშვათ, მას ფონად შადრევანი (ოხ, ეს შადრევანი!) და ვირტუალური ეფექტები დაამშვენებდა, მსმენელ-მაყურებელი თავს შეურაცხყოფილად, მოტყუებულად არ იგრძნობდა, მუსიკალურ სამყაროში არსებული ეთიკის ნორმები კი არ დაირღვეოდა.

ისე კი, რა გამოდის - თუ კონცერტი ქუჩაში იმართება და მასობრივი სანახაობის სახეს ატარებს, მაშინ სრულიად დასაშვებია, რომ თბილისის ოპერის ნებისმიერი მომღერალი გამოვიდეს და მარია კალასის ან კარუზოს ხმით იმღეროს, ლელა წურწუმიამ ითამაშოს, ვითომ მადონაა, "სოფტ ეჯექტმა" კი "როლინგ სტოუნზზე" ვითომ დაუკრას?! გამოდის, რომ ყველაფერი დასაშვები ყოფილა, ოღონდ არა კონსერვატორიაში ან საკონცერტო დარბაზში. ქუჩაში რაც გინდა, ის ქენი. ვინც მოგწონს, ვისი შესრულებაც ხელსაყრელია, ვისაც გინდა, რომ ჰგავდე, იმისი ჩანაწერი მოიძიე, ლამაზად ჩაიცვი, ადი სცენაზე და უბრალოდ, მაქსიმალურად ეცადე, შემოქმედებითი ტანჯვები ოსტატურად ითამაშო.

კი ბატონო, მაგრამ ეს ნიჭიერი, მუსიკალური ქართველები რომ არ ტყუვდებიან, ვერაფერს რომ ვერ გამოაპარებ?!

Придурк-ებს სად პოულობთ?

ამ კვირაში ტელეკომპანია "იმედის" გადაცემას "პირველები" ვუყურე, სადაც ინგა გრიგოლიას გიორგი არველაძესთან და ჯემალ გოგიტიძესთან ჰქონდა ჩართვები. მართალი გითხრათ, გამიკვირდა და ცოტა გავბრაზდი კიდეც. რამდენადაც ვიცოდი, ჩვენი ხელისუფლების პირველი პირები, პოლიტიკური ელიტა ტოკ-შოუებში მონაწილეობაზე ძნელად თანხმდება და რაღა ამ ჯემალ გოგიტიძესთან სალაპარაკოდ მოიცალეს?! ან ინგა გრიგოლიასნაირ პროფესიონალ ჟურნალისტს რაში მოაფიქრდა, რომ დღეს საქართველოში გოგიტიძე ვინმეს აინტერესებს. მეტსაც გეტყვით, არამცთუ არ აინტერესებს, არამედ ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების ისტორიაში რამდენიმე ისეთი პერსონაჟი არსებობს, რომელთა გახსენებაც კი არ გვსიამოვნებს, საჭიროდ არ მიგვაჩნია. გიგა ბოკერიასი არ იყოს, რომელიც გასულ კვირას "რუსთავი 2"-ზე ეკა ხოფერიას ტოკ-შოუში ზატულინთან სალაპარაკოდ, საკამათოდ დაჯდა. ამიხსენით, ან ზატულინი, ან მით უმეტეს გოგიტიძე ვის უნდა? მათგან რაიმე საინტერესოს, მნიშვნელოვანს, აზრიანს სერიოზულად ვინ ელის? ან მათი გადაცემაში მოწვევა რას ემსახურება, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავინახავთ, თუ სადამდე შეიძლება იქნეს დეგრადირებული ადამიანის მორალი, თავმოყვარეობა, დემაგოგია, ცინიზმი, სიბეცე და, თუ გნებავთ, იდიოტიზმიც კი.

"Придурков всюду хватает" - ერთხელ სააკაშვილმა ჟირინოვსკის უთხრა, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ "придурк"-ების მოძიება, ისტორიული სანაგვიდან ამოქექვა და მაშინ, როდესაც საზოგადოებას ამდენი სატკივარი, პრობლემა, შეკითხვა გააჩნია, ამ არაფრისმთქმელებისთვის ამდენი საეთერო დროის დათმობა რამდენად სწორია, დროულია, ეს კი არ ვიცი!

ეს წერილი არა მხოლოდ გოგიტიძეს ეხება. არ დავიწყებ იმ ადამიანების ჩამოთვლას, ვინც საზოგადოებაში უკურეაქციის, გაღიზიანების მეტს არაფერს იწვევს. მათი სახელები ყველას, სამწუხაროდ, კარგად გვახსოვს და აღარ გვინდა გახსენება. ამ სამოცდაათი წლის მერე კიდევ КГБ გვინდა?! ძერჟინსკი მოგვენატრა, ბერია თუ გიორგაძე?!

"პორტობელო"

მომხიბვლელი ჰიუ გრანტისა და ულამაზესი ჯულია რობერტსის მონაწილეობით მხატვრული ფილმი "ნოთინგ ჰილი", ალბათ, ყველას გახსოვთ. ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ, მრავალფეროვან, ბოჰემურ, თავისუფლებით გამსჭვალულ უბანში განვითარებულმა სასიყვარულო კინოამბავმა ჩემზე იმდენად რომანტიკული შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბრიტანეთის უმშვენიერეს, უმძლავრეს, ისტორიითა და ხელოვნების შედევრებით, ტრადიციებით აღსავსე დედაქალაქში ჩასვლისთანავე, პირველივე კვირა დღეს ნოთინგ ჰილში, "პორტობელოს" ბაზრობაზე წავედი.

ძნელია უფრო ხალხმრავალი, ფერადოვანი, ხმაურიანი, სიცოცხლით სავსე ადგილის წარმოდგენა, სადაც შენს წინ სპეციალურად გაკეთებულ დახლებზე თუ პატარ-პატარა მაღაზიებში ხელოვნების, ყოფითი კულტურის, მოდის, აზარტული თამაშების, აქსესუარების, ეთნოგრაფიის ამდენი ექსპონატია წარმოდგენილი; სადაც ყველაზე ბოჰემური, ავანგარდული, შემოქმედებითი ახალგაზრდობიდან დაწყებული, ბურჟუაზიულ კოსტიუმებში გამოწყობილი, მარგალიტის მძივებიანი ხანში შესული ქალბატონებითა და ასობით ტურისტით დამთავრებული, უამრავი ადამიანი ირევა, იქექება, ვაჭრობს, ეძებს და, რაც მთავარია, აუცილებლად რაღაცას პოულობს. პოულობს ისეთ რამეს, რასაც "პორტობელოს" გარდა მეტი ვერსად იყიდი: 50-იანი წლების შანელის საღამოს ჩანთას, მე-19 საუკუნის ვარდებითა და ლილიებით მოხატულ, ხელოვნების ნიმუშის ტოლფას ღამის ქოთანს, ბროლის ან ნახევრად ძვირფასი ქვების სახელურებს, ხის, მარჯნის ან ფირუზის მძივებს, 60-იანი წლების ჰერმესის თავსაფარს, თეფშის ზომის ქარვის ზოდს, მატრიოშკებს, თვალებამოვარდნილ იაფიან გულსაბნევებს, ბრინჯაოს შანდლებს, ჩინურ აბრეშუმის კიმონოს ან ფაიფურს, სირაქლემის ბუმბულის ბოას, უნიკალურ წიგნს, სამხედრო ქუდს, მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგი შანსონიეს ფირფიტას, რომელიც ჯერ კიდევ უკრავს, მსოფლიო ჯაზის ისტორიის ხუთ CD-ის რვა ფუნტად, ბროლის ჭაღს, ქუდის ქინძისთავს, სასადილო სერვიზის ნარჩენებს, ინდურ ქვედაკაბას, რუსულ შალს, ძველ ფოტოაპარატს ან, უბრალოდ, ყვავილოვან კომბოსტოს.

"პორტობელოზე" ყველაფერი იყიდება, ყველანაირი გემოვნება, ინტერესი, ჰობი კმაყოფილდება, ყველაფერი ძალიან იაფი ღირს და იგი ლონდონის ის ღირსშესანიშნაობაა, რომელსაც ძალიან მარტივად, თავისუფლად, მაგრამ ამავე დროს სათუთად ინარჩუნებენ, ინახავენ, ამაყობენ, არაფერს ცვლიან და ამავე დროს უვლიან.

"პორტობელოზე" დავდიოდი და ვფიქრობდი, რომ თბილისში ლონდონის მასშტაბის თუ არა, არანაკლებად კოლორიტული "მშრალი ხიდის" ბაზრობა გვაქვს, რომელიც, იმედი მაქვს, როდესმე ისეთივე მოვლილი, მოწესრიგებული, სისტემაში მოყვანილი იქნება და თბილისელებისთვის, ისევე როგორც "პორტობელო" ლონდონელებისთვის, ერთ-ერთ სანახაობრივ, კოლორიტულ, საყვარელ და საჭირო ადგილად იქცევა.

კიდევ ერთი სამსახური აუწყვიათ!

ჩემმა ახლო მეგობარმა მანქანა იყიდა. როგორც წესი და რიგია, გაანბაჟა და მთხოვა, ნომრის და ტექპასპორტის ასაღებად წავყოლოდი. მართალი გითხრათ, ამ პროცედურის წლების განმავლობაში არსებული სირთულე, არეულ-დარეულობა ვიცოდი, მახსოვდა და ძალიან მეზარებოდა, მთელი დღის დაკარგვა მენანებოდა, მაგრამ მეგობარს უარი ვერ ვუთხარი და დიღომში წავყევი.

გზების შეკეთების გამო დიღომში მოხვედრა დღესდღეობით, მართალია, ძალიან გართულებულია, მართალია, სერიოზულ, სრულიად ქაოტურ საცობში მოგვიწია დგომა (ამასობაში ტრასის განაპირას მდებარე ენით აღუწერელი რესტორნების ფასადების, არქიტექტურის, სარეკლამო წარწერების, მენიუების შესწავლის საშუალება მომეცა და ეს თემა ცალკე წერილის ღირსია), მართალია, აბრების, მითითებების არარსებობის გამო საჭირო დაწესებულების პოვნა გაგვიჭირდა, მაგრამ, როგორც იქნა, სასურველ შენობას მივაღწიეთ. ნომრების გამცემი ორგანიზაციის აბრევიატურა იმდენჯერ შეიცვალა, რომ უკვე დავიბენი, არც ვიცი, რა ჰქვია და ყველასათვის ჩვეულად, გასაგებად გაი-თ მოვიხსენიებ. უზარმაზარი, უსახური, შეიძლება ითქვას, მახინჯი შენობის გარშემო, სხვადასხვა ტიპის გასაყიდად და საყიდლად გამზადებული მანქანებით გავსებული ტერიტორია სახნავ მინდორს უფრო ჰგავს, ვიდრე იმ ორგანიზაციის ეზოს, სადაც ამხელა ფული ტრიალებს. ერთი ასფალტი რით ვერ დააგეს, რომ მანქანები გაფორმებისთანავე პროფილაქტიკაში წასაყვანი არ იყოს. იმ დღეს კიდევ გავიმართლა და მზიანი, მშრალი ამინდი იდგა, თორემ წვიმაში, წარმოიდგენია, იქ რა ხდება!

მე და ჩემი მეგობარი ხშირად ვართ ერთად, სრულიად განსხვავებულ ყოფით ადგილებში, ხან გაზის სამმართველოში, ხან საავადმყოფოში, ხან ბანკში კომუნალური ქვითრების გადასახდელად - ერთმანეთს დავყვებით. ორისთვის ნაკლებად მოსაწყენია, თანაც სულ ვკამათობთ. მე ყველგან პოზიტიური სიახლის დანახვას ვლამობ, ჩემი მეგობარი კი უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი და უმეტეს შემთხვევაში მიმტკიცებს, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. სამწუხაროდ, ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ჩვენს კამაოში მე უფრო ხშირად ვარ გამარჯვებული, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე გაი-ს ეხებოდა, სრული ასპროცენტიანი გამარჯვება მოვიპოვე.

პირველ რიგში დავნაძლევდით, რომ ნომრების აღებას, საუკეთესო შემთხვევაში, მინიმუმ ორი საათი მაინც დასჭირდებოდა. სრული უნაცნობობის, "ბლატის" უქონლობისა და ხალხის რაოდენობის გამო, გამოგიტყდებით, რომ მეც ასე მეგონა, მაგრამ არ შევიმჩნიე, დავენაძლევე და თქვენ წარმოიდგინეთ, მოვიგე კიდეც. ნახევარ საათში ნომრები ხელში გვეჭირა.

ასეთი ორგანიზებული, აწყობილი მუშაობა, გარემონტებული, სუფთა, ცივილიზებული დარბაზი, ჯაჭვებით გამოყოფილი რიგები, მოღიმარი, ზრდილობიანი, ახალ, ლამაზ ლურჯ ფორმებში ჩაცმული პოლიციის თანამშრომლები (უმეტესად ქალები) და შეუფერხებელი მომსახურება ჩემნაირი ოპტიმისტისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენი იყო. რამდენიმე წლის წინ ვერაფრით დავიჯერებდი, რომ როდესმე მთელი ეს პროცედურა ყოველგვარი ნაცნობობის, წინასწარი დარეკვის, ჩაწყობის, ზედმეტი დროის, ფინანსების, ნერვების ხარჯვის გარეშე, იქვე გახსნილი "საქართველოს ბანკის" ფილიალში ორი ოცდაექვსლარიანი ქვითრის ოფიციალურად გადახდით, ნომრის შერჩევის მეტ-ნაკლები უფლებითა და ღიმილით ჩავლიდა და ბოლოს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან გულწრფელი მილოცვით დასრულდებოდა!

ვაღიარებ, რომ მეგობრის ახალ მანქანაზე, ახალ ნომრებზე, ტექპასპორტზე არანაკლებად სასიამოვნო ის იყო, რომ ორივემ ერთდროულად, ყოველგვარი კამათის გარეშე კიდევ ერთი მოწესრიგებული, სისტემაში მოყვანილი სფერო აღმოვაჩინეთ. მართალი გითხრათ, არ ველოდი!

მოკლედ

ყიფიანის თასი: მეოთხედფინალისტები დაწყვილდნენ

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალ ოფისში გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

"ამერი" (თბილისი) - "კოლხეთი" (ფოთი)
"ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "ლოკომორივი" (თბილისი)
"ზესტაფონი" - "დინამო" (თბილისი)
"სიონი" (ბოლნისი) - "ბორჯომი"

მეოთხედფინალური სერიის პირველი შეხვედრები გაიმართება 2006 წლის 18 თებერვალს, წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე. საპასუხო მატჩები კი შედგება 8 მარტს.

თანამეგობრობა ცსკა-თბილისის "დინამოთი" იწყება

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე გუშინ გამოქვეყნდა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის გათამაშების კალენდარი, რომლის მიხედვითაც ვიტყობთ, რომ 14 იანვარს რუსეთის ჩემპიონი ცსკა გათამაშებას დაიწყებს საქართველოს ჩემპიონ თბილისის "დინამოსთან". ამავე ჯგუფში არიან ტაშკენტის "პახტაკორი" და ტალინის რგმკ.

"მილანმა" ბრაზილიურ მინდორზე ურუგვაელი დაინახა

იტალიის "მილანმა" ბრაზილიურ "სან-პაულუს" მიმართა წინადადებით, სამხრეთამერიკული კლუბის ურუგვაელი მცველი დიეგო ლუგანო 4 მილიონ ევროდ მოგვყიდეო. ბრაზილიური საინფორმაციო წყაროების თანახმად, მილანელთა წინადადების განხილვა მოლაპარაკებათა საწყის ნაბიჯად უნდა აღვიქვათო და იქვე დასძენენ: ლუგანოს 8 მილიონზე ნაკლებად კლუბი არ დათმობსო.

სამხრეებიანი იტალიელი ჭერჭერობით მშვიდადაა

იტალიის პარლამენტში გამოსვლისას ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პიზანუმ აღნიშნა, რომ 2006 წლის ტორინოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებაზე ცხრა ათასი სამართალდამცავი იზრუნებს.

"ზამთრის თამაშების მიჯნაზე შესაძლო ტერაქტების თავიდან ასაცილებლად მუდმივ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ. ბოლო დროს იტალიის წინააღმდეგ ინტერნეტით მუქარა ვრცელდება, რომლის მიზანიცაა მოსახლეობაში დანერგოს შიში. და კიდევ, ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობა საარჩევნო კამპანიას ემთხვევა, რაც ტერორისტულ ორგანიზაციათა დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს".

ყველაზე დიდსამხრეებიანი იტალიელი სამართალდამცავის განმარტებით, ჯერჯერობით არანაირი სიგნალი არ მოსულა იმის თაობაზე, რომ თეთრი ოლიმპიადის დროს ტერაქტებს უნდა ველოდოთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ყველაფრისთვის ვემზადებითო.

ტოგომ ისმაელს ცოლთან და ტოგოსთან ერთგულება სთხოვა

მიუნხენის "ბავარიის" მცველმა ვალერენ ისმაელმა ტოგოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიიღო წინადადება, გაისად გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების მაისურა მოირგე და ტოგოს ღირსება დაიცავიო.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთში დაბადებულმა ისმაელმა ადრე საკუთარი სამსახური შესთავაზა საფრანგეთისა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებებს, მაგრამ ფრანგებისგანაც და გერმანელებისგანაც უარი მიიღო.

ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ისმაელს თავისუფლად შეუძლია ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს, რადგან ტოგოელ ქალბატონზეა დაქორწინებულიო.

მარადონა მარადონას გაურბის

"მამისა და შვილის" მუდმივმა პრობლემამ უცაბედად იჩინა თავი მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს სუპერვარსკვლავ (რა თქმა უნდა, პენსიაზე მყოფ) მარადონასა და მის შვილს შორის. იტალიური გამოცემა Mattino-ზე დაყრდნობით, ცნობილი არგენტინელის ვაჟმა დიეგო არმანდო მარადონა-უმცროსმა სახელოვანი მამის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი "შობლის ვალდებულებათა შეუსრულებლობის, მორალური ზარალისა და უკმეხობისთვის".

იტალიური გაზეთის თანახმად, არგენტინელ ფეხბურთელს 1986 წელს ნეაპოლელ კრისტიანო სინაგრასთან ვაჟი შეეძინა. მიუხედავად იმისა, რომ მარადონას უკანონო ცოლთან შეთანხმებაზე ჰქონდა ხელი მოწერილი, დიეგო მარადონა ამ ხნის განმავლობაში მამის ვალდებულებათა შესრულებაზე უარს აცხადებდა.

დღეს სწორედ იმ ხელშეკრულებას გამოამზეურებენ სასამართლოში და მერე განაჩენსაც უნდა ველოდოთ.

კენიონმა, რა ბალაკი, რის ბალაკიო

როგორც მიუნხენის "ბავარიის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ამბობდა, ლონდონის "ჩელსი" გერმანული კლუბის ნახევარმცველით მიხაელ ბალაკით იყო დაინტერესებული. გუშინ კი "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პეტერ კენიონმა Mirror-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უარყო ასეთი ხმები: "ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ბალაკი "ჩელსიში" არ იქნება".

პუტინი ტატამზეც გაპრეზიდენტდა

"როიტერსის" ცნობით, ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტი პლონელი მარიუს ვიზერი დღეს მოსკოვს საპატიო მისიით უნდა სწვეოდა. მისიის არსი ის არის, რომ ევროპელ ძიუდოისტთა მამამთავარმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რომელიც ძიუდოს დიდი მოტრფიალეა, ევროპის ძიუდოს კავშირის საპატიო პრეზიდენტის რწმუნებათა სიგელი უნდა გადასცეს.

პარაგვაელი ურუგვაისთვის

პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების ყოფილმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა Lancepress-თან საუბრისას გამოთქვა სურვილი გახდეს ურუგვაის ნაკრების მწვრთნელ-სელექციონერი.

ფეხბურთი

ბრილიანტის ბურთისთვის მებრძოლი

ბრილიანტის ბურთის სამი მაძიებელი: რონალდინიო, ეტო'ო და ფრენკ ლამპარდი.

ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზისთვის წელს ბრაზილიელი რონალდინიო, კამერუნელი სამუელ ეტო'ო და ინგლისელი ფრენკ ლამპარდი იბრძოლებენ. ასეთი ვერდიქტი გამოიტანა ფიფამ. შეგახსენებთ, რომ შარშან რონალდინიო უკვე ფლობდა საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს. მან ფრანგ ტიერი ანრისა და უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს აჯობა.

წელს ერთი ჯილდო რონალდინიომ უკვე მოიგო: ის საუკეთესო გახდა "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში და "ოქროს ბურთი" მიიღო. ახლა კი მას შანსი აქვს "ბრილიანტის" ბურთი მოიპოვოს.

აღსანიშნავია, რომ "ბრილიანტის ბურთის" მოპოვების შანსი რონალდინიოს უფრო მეტი აქვს, ვიდრე "ოქროს ბურთისა". "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალისტები. ფიფას გამოკითხვის მთავარი პერსონაჟები კი ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები და ფეხბურთელები არიან. ამასთან, მათი უმრავლესობა არ ადევნებს თვალს ევროპულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს.

ხშირად ხდება, რომ "ოქროს ბურთს" იმსახურებენ ფეხბურთელები, რომლებიც უფრო ეფექტურად თამაშობენ, ვიდრე მუშაობენ. რონალდინიო კი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურად მოთამაშე ფეხბურთელია. თუმცა, ძნელია იმაზე კამათი, რომ ბრაზილიელი არ იმსახურებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას.

ჩოგბურთი

15 წლის შემდეგ

მაკინროი სან-ხოსეს ტურნირის მოგებას აპირებს.

"დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის გამარჯვებული, ამერიკელი ჯონ მაკინროი 15 წლის შემდეგ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს. ის ფიქრობს მომავალ წელს მონაწილეობა მიიღოს სან-ხოსეს საჩოგბურთო ტურნირის წყვილთა თანრიგის შეჯიბრებაში.

მისი პარტნიორი კიდევ ერთი შესანიშნავი ჩოგბურთელი, შვედი იონას ბიორკმანი უნდა გახდეს. მაკინროიმ განაცხადა, რომ ამ ტურნირში გამარჯვებით უნდა აღნიშნოს თავისი 47 წლის იუბილე. აღსანიშნავია, რომ სან-ხოსეს კორტებზე მაკინროის 13 გამარჯვება მოუპოვებია. აქედან 5-ჯერ ერთეულთა და 8-ჯერ წყვილთა თანრიგში. უკვე 15 წელია, რაც ამერიკელი პროფესიულ ჩოგბურთში აღარ თამაშობს. 1992 წელს მან ოფიციალურად დაასრულა საჩოგბურთო კარიერა და გახდა მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი. მის ანგარიშზეა 77 ტურნირის ლაურეატობა როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში.

მანამდე მაკინროი ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობდა. თავის მხრივ, იონას ბიორკმანს 7-ჯერ მოუგია "დიდი სლემის" ტურნირები წყვილთა თანრიგში. საერთოდ, წყვილებში შვედმა 42 ტიტული მოიგო.

"სან-ხოსეში ერთი მიზნით მივდივართ - მოვიგოთ ტიტული წყვილთა თანრიგში, - განაცხადა ჯონ მაკინროიმ, - მე და იონასი არ ვაპირებთ უბრალოდ მაყურებლის გართობას. ვფიქრობთ, ჩვენ შევძლებთ ღირსეული ჩოგბურთის ჩვენებას". სან-ხოსეს ტურნირი 13-19 თებერვალს გაიმართება.

ცურვა

ყველაზე სველები

გრანტ ჰეკეტი

ლაიზელ ჯონსი

ახლახან ყველაზე ავტორიტეტულმა ცურვის ჟურნალმა Swimming World Magazine-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეთა ნუსხა, რომელშიც ყველა კონტინენტის საუკეთესონი არიან წარმოდგენილი. საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ამოსარჩევად გავლენიანმა ჟურნალმა გამოიყენა წლეულს ზაფხულში მონრეალში ჩატარებული საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები.

მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეები

ვაჟები
1. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია)
2. არონ პირსოლი (აშშ)
3. მაიკლ ფელპსი (აშშ)
4. იან კროკერი (აშშ)
5. როლან შუმანი (სამხრეთ აფრიკა)

ქალები
1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია)
2. კეტი ჰოფი (აშშ)
3. კრისტი კოვენტრი (ზიმბაბვე)
4. ლისბეტ ლენტონი (ავსტრალია)
5. ოტილია ედრჟეიჩაკი (პოლონეთი)

ევროპის საუკეთესო მოცურავეები

ვაჟები
1. ლასლო ჩეხი (უნგრეთი)
2. ფილიპო მანინი (იტალია)
3. პაველ კორჟენოვსკი (პოლონეთი)
4. იური პრილუკოვი (რუსეთი)
5. მარკ ვარნეკე (გერმანია) და არისტეიდის გრიგორიადისი (საბერძნეთი)

ქალები
1. ოტილია ედრჟეიჩაკი (პოლონეთი)
2. ლაურა მანადუ (საფრანგეთი)
3. სოლენ ფიგუ (საფრანგეთი)
4. ფედერიკა პელეგრინი (იტალია)
5. ფლავია რიგამონტი (შვეიცარია)

ამერიკის საუკეთესო მოცურავეები

ვაჟები
1. არონ პირსოლი (აშშ)
2. მაიკლ ფელპსი (აშშ)
3. იან კროკერი (აშშ)
4. ბრენდან ჰანსენი (აშშ)
5. ლარსენ ჯენსენი (აშშ)

ქალები
1. კეტი ჰოფი (აშშ)
2. ჯესიკა ჰარდი (აშშ)
3. კეით ზიგლერი (აშშ)
4. ნატალი კაგლინი (აშშ)
5. ბრიტანი რაიმერი (კანადა)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. თბილისში მდებარე შ.პ.ს. საერო სკოლა "ლამპარი" - ითხოვს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.

2. შ.პ.ს. "თბილისის საავიაციო უნივერსიტეტი"-ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

3. შ.პ.ს. "სტომატოლოგიური ინსტიტუტი" - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

4. შ.პ.ს. არასახელმწიფო საერო სკოლა "ათინათი" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, შ.პ.ს. "არასახელმწიფო საერო სკოლა დაწყებით სკოლა-ბაღს" ეწოდა შ.პ.ს. არასახელმწიფო საერო სკოლა "ათინათი".

5. შ.პ.ს. "ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი დადგენილებით, გაუქმდა შ.პ.ს. "ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის" მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის შემადგენლობაში მყოფი ობიექტებისათვის მემედ აბაშიძის სახელის დარქმევის შესახებ, შ.პ.ს. "მემედ აბაშიძის სახელობის ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს" ეწოდება შ.პ.ს. "ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

Call Center

ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული

Tel:(995 32) 24 45 98

www.cc.ge

რანი ვიყავით და რანი დავრჩებით?!

ლიანა კვირკველია
ი.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

"ჩემს ერს ვუსურვებ უკვდავებას მრავალჟამიერ, გამრავლებას, სასახელო შვილების დაზრდას, მშვიდობას, სიხარულს, სიტკბოს ყველა ოჯახისათვის, სიკეთეს და სულის სისპეტაკეს!
თქვენი ივანე ბერიტაშვილი"

იაკობ გოგებაშვილის ცნობილი სიტყვების პერეფრაზირება კარგად ესადაგება იმ სიტუაციას, რომელიც ბოლო ხანს შეიქმნა ქართულ სამეცნიერო სკოლებში.

მიმდინარე წლის 10 იანვარს 120 წელი შესრულდა ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან. საქართველოს ი.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგთა საზოგადოების სხდომაზე ეს თარიღი აღნიშნული იყო უფრო ფართოდ, ვიდრე ეს ყოველწლიურად 10 იანვარს ხდება "ბერიტაშვილისეულ კითხვებზე". საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ივანე ბერიტაშვილის მოსახსენებლად პარაკლისი აღავლინა, მაგრამ ფართო საზოგადოებას ეს ღირსშესანიშნავი თარიღი არ აღუნიშნავს. ეს ფაქტი მეტად სიმპტომურია და ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვან მეტამორფოზებზე მიუთითებს.

ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებელი დიდი ივანე ბერიტაშვილი 1974 წელს გარდაიცვალა. ახლანდელმა თაობამ შეიძლება არ იცოდეს, ვინ იყო ეს კაცი, ვის სახელსაც ასეთი მოწიწებით და სიყვარულით მოიხსენიებდნენ მთელი საუკუნის განმავლობაში, "ვისაც მეცნიერებით ედგა სული, ვინც ერისა და კაცობრიობის სასიკეთოდ იღვწოდა."

ივანე ბერიტაშვილი - მეცნიერების კორიფე

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი დიდი მამულიშვილი იყო. თანამედროვეობის გამორჩენილი ფიზიოლოგი, ფუნდამენტური პროცესების თავდავიწყებული მკვლევარი, ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი და თეორეტიკოსი, ნოვატორი, რომლის იდეები ხშირად უსწრებდა თანამედროვეობას. მან გაუთქვა სახელი საქართველოს მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე და თავის სამშობლოში მომდევნო თაობებს დაუტოვა ორიგინალური სამეცნიერო სკოლა.

ივანე ბერიტაშვილმა დიდი და რთული გზა განვლო მეცნიერებაში. იგი შეისწავლიდა ნერვ-კუნთის ფიზიოლოგიას, ზურგისა და თავის ტვინის ფიზიოლოგიას, უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, ემოციებს და მეხსიერებას, დიდად განავითარა ელექტროფიზიოლოგია და ქცევათმეცნიერება. ტვინის მოქმედების ურთულეს გამოვლინებებს ბერიტაშვილი შეისწავლიდა სტრუქტურასთან და ბიოქიმიურ პროცესებთან მჭიდრო კავშირში, ეყრდნობოდა თანამედროვე მეცნიერების უახლეს მიღწევებს და თვითონაც მუდამ ახლის ძიებაში იყო.

..."პროფესორ ი. ბერიტაშვილის შრომებით აღფრთოვანებული ვარ" (ვ. ბრემერი, ბელგია)... "ის არის ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგი" (ვ. ლიბერსონი, აშშ).

ბატონი ივანე ხშირად დროსაც უსწრებდა, რადგან საოცარი ინტუიციის პატრონი იყო. ჰ. ჯასპერმა (კანადა) თბილისში ყოფნისას ასე მიმართა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს: "თქვენ გაქვთ ის, რაც არავის არა აქვს მსოფლიოში, - ეს თქვენი ხელმძღვანელის იდეებია".

..."მან ბევრი გააკეთა ურთიერთგაგებისთვის ქართულ აკადემიასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის" (ვ. პენფილდი, კანადა).

80 წელს იყო გადაცილებული ივანე ბერიტაშვილი, როცა გამოაქვეყნა თავისი ბოლო მონოგრაფიები მეხსიერების პრობლემებზე, რაზეც ის 40 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დაარსება

1919 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ივანე ბერიტაშვილი მიიწვიეს სამუშაოდ თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში. იმ დროს ის ოდესაში მუშაობდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პრივატდოცენტად. ბატონი ივანე მაშინვე გამოეშურა საქართველოსკენ და ჩვეული ენერგიით დაიწყო ფიზიოლოგიური ლაბორატორიის მოწყობა თბილისის უნივერსიტეტში, სადაც არათუ რაიმე ბაზა, არამედ მეცნიერული ტერმინოლოგიაც არ არსებობდა ქართულ ენაზე.

ი. ბერიტაშვილმა შექმნა კუნთოვანი და ნერვული სისტემების ზოგადი ფიზიოლოგიის ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული კურსი სტუდენტებისთვის. 1920-21 წწ. დაისტამბა პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი მთელ კავშირში, სადაც მეცადინეობა კუნთოვანი და ნერვული სისტემების ზოგად ფიზიოლოგიაში ი.ბერიტაშვილის პროგრამით მიმდინარეობდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ღრმა ცოდნას ფიზიოლოგიაში საბჭოთა კავშირის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იძლეოდა, ასეთი განსწავლული მოწაფეები არც ერთ სამეცნიერო სკოლას არ ჰყავდა. მის მოღვაწეობას ფ. ვერცარი "ქართული უნივერსიტეტის დიდ სამკაულს" უწოდებდა.


ივანე ბერიტაშვილი

ივანე ბერიტაშვილის პირველი სტუდენტები რომ წამოიზარდნენ, ისინი თავისი მასწავლებლის თანამშრომლები გახდნენ. ჩაეყარა საფუძველი ორიგინალურ სამეცნიერო სკოლას, რომელიც ქართული ფიზიოლოგიური სკოლის სახელით გახდა ცნობილი, - ერთ-ერთი უძლიერესი როგორც ერუდიციით, ისე მეცნიერული შემოქმედების დიაპაზონით. ბერიტაშვილის სკოლას ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი, კრიტიკული თვალთახედვა, მაღალ კულტურასთან და ზნეობრიობასთან შერწყმული სიახლის მუდმივი ძიება. კომპლექსური მიდგომით პრობლემის გამოკვლევა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის მთავარი მახასიათებელი იყო. აქ შეისწავლიდნენ როგორც ურთულეს ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს - ცხოველთა ქცევას, ისე ცალკეული ფუნქციური სისტემების ან ერთი უჯრედის დონეზე მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებს, მორფოლოგიურ სტრუქტურასთან კავშირში.

ხელმძღვანელის სიმკაცრე და მოთხოვნილება, მისი უკომპრომისობა განაპირობებდა კადრების აღზრდის მაღალ ეფექტურობას.

..."ივანე ბერიტაშვილმა თავისი ლაბორატორია აქცია ტვინის კვლევის ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრად" (ლორდი ე. ედრიანი, დიდი ბრიტანეთი).

ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

1934 წელს თბილისის უნივერსიტეტში ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრასთან შეიქმნა ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც 1935 წელს ფიზიოლოგიის ინსტიტუტად გარდაიქმნა და მიენიჭა ივანე ბერიტაშვილის სახელი. 1941 წელს ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა. აკადემიის დამფუძნებელთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ი. ბერიტაშვილი იყო.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე მეცნიერული კვლევა-ძიება ბერიტაშვილის მკაცრ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ბატონი ივანეს დაინტერესება მიღებული ექსპერიმენტული შედეგებით, მისი ყურადღება, - არაფერი იყო ამაზე უფრო მაღალი, უფრო სასიხარულო შეფასება იმათთვის, ვისაც ი. ბერიტაშვილის სამსჯავროზე გაჰქონდა თავისი ნაშრომი.

ი. ბერიტაშვილისა და მისი მოწაფეების ვრცელი სტატიები, ჩვეულებრივ, ინსტიტუტის შრომათა კრებულებში იბეჭდებოდა. ასეთი იყო ტრადიცია. ეს იყო პრესტიჟული პუბლიკაცია. კრებულები აუცილებლად იგზავნებოდა ცნობილ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებებულებებში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

ინსტიტუტს მრავალრიცხოვანი სტუმარი ჰყავდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

..."ჩვენ, ვინც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ასე შორს თქვენი მშვენიერი ისტორიული ქალაქიდან, ყოველთვის გულში სიხარულით ვფიქრობთ პროფესორ ი. ბერიტაშვილის ინსტიტუტზე, როგორც შემოქმედებითი ადამიანების ბედნიერ კოლექტივზე" (რ. ეიდი, ლოს-ანჯელესი, აშშ).

წელს ინსტიტუტს 70 წელი შეუსრულდა.

დამოუკიდებელ საქართველოში ეკონომიკურმა ნგრევამ დიდი დარტყმა მიაყენა ექსპერიმენტულ მეცნიერებას. ძალიან მტკივნეულად იგრძნო ეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტმაც, სადაც კვლევითი საქმიანობა დაკავშირებულია არა მარტო ხელსაწყო-იარაღებთან, რთულ აპარატურასთან, რეაქტივებთან, ენერგომომარაგებასთან, ლაბორატორიულ მასალებთან, არამედ ცოცხალ ობიექტებთან - ცხოველებთან. დაფინანსება შეწყდა. ამას შეეძლო ინსტიტუტის ექსპერიმენტული მუშაობის სრული ბლოკირება. მაგრამ ინსტიტუტი გადარჩა და შეინარჩუნა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო დაწესებულების სტატუსი, რაც ინსტიტუტის თანამშრომელთა თავდადების შედეგია.

ინსტიტუტში დღესაც შენარჩუნებულია ექსპერიმენტული კვლევის ფართო დიაპაზონი ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და მორფოლოგიის განხრით.

მძიმე პირობების მიუხედავად, ინსტიტუტის ბაზაზე 4 სამეცნიერო ჟურნალი გამოდის. ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 23 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, მიღებულია 27 საერთაშორისო გრანტი, 5 სამეცნიერო პრემია და ორი პატენტი. ინსტიტუტის გადარჩენისთვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოეთთან კავშირები. ინსტიტუტს სამეცნიერო თანამშრომლობა აქვს საზღვარგარეთის 23 სამეცნიერო ორგანიზაციასთან. საზღვარგარეთის სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხულ იქნა 120 მოხსენება, მათგან 65 - ახალგაზრდების მიერ. ყველა ღონისძიება დაფინანსებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

არსებული რეალიების გათვალისწინებით უნდა ვაღიაროთ, რომ ფიზიოლოგიის ინსტიტუტი წარმატებით იბრძვის გადარჩენისთვის.

თუმცა უხერხული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ინსტიტუტი ძველებურად მუშაობს და ჩვეულ ტრადიციებს არ ღალატობს! ყველაფერი შეიცვალა. ახალგაზრდა კადრების მომზადებამაც თავისებური ხასიათი მიიღო: ასპირანტურაში ხალისით მოდიან გოგონები და უფრო იშვიათად ვაჟები. 5-6 წელიწადში საკანდიდატო დისერტაციას იცავენ და "პოსტდოკების" სტატუსით მიდიან უცხოეთის სამეცნიერო ლაბორატორიებში, სადაც მხოლოდ "პოსტდოკებს" იღებენ კონტრაქტით სამუშაოდ. ახალგაზრდები სხვადასხვა ვადით მიემგზავრებიან, ვინ როგორ გაძლებს... კვალიფიკაციასაც იმაღლებენ და ოჯახებსაც ეხმარებიან. შემდეგ ბრუნდებიან... ან არ ბრუნდებიან. ვინც ბრუნდება, უკმარისობის გრძობა აქვს, ძნელად ეგუება ექსპერიმენტული მუშაობის ღარიბულ პირობებს.

...რანი დავრჩებით?!

შეშფოთებით ელიან ქართველი ფიზიოლოგები მომავალ რეფორმებს.

- გადარჩება თუ არა ბერიტაშვილის ინსტიტუტი? როგორ განვითარდება ფუნდამენტური მეცნიერება?

- ვინ განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს?

- რა ბედი ელის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომლის ინტელექტუალური დონე ნამდვილად პატივისცემას იმსახურებს?!

- რა დაემართება ინსტიტუტის სტრუქტურას, რომლის თითოეული რგოლი ემსახურება საერთო მიზანს, - თავის ტვინში მიმდინარე პროცესების კომპლექსურ გამოკვლევას?

ბევრ კითხვას ბადებს ინსტიტუტის კადრების ატესტაციის პრინციპები. ვის შეუძლია უკეთესად შეაფასოს თავისი თანამშრომლების პროფესიონალიზმი, თუ არა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს?

შეშფოთების საბაბს იძლევა ის, რაც ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში ხდება: ტოტალური შემცირება ფაკულტეტების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უნივერსიტეტში საკონკურსოდ მიღებული ანკეტების ფარული მიზანია ასაკობრივი ცვლილებების შეტანა თანამშრომელთა შემადგენლობაში, თუმცა, ფორმალურად ამას ჯერ არ აღიარებენ. ფაქტობრივად, ქულების უდიდესი ნაწილი ეწერება იმათ, ვინც ბოლო წლებში საზღვარგარეთ მუშაობდა, ე.ი. "პოსტდოკებს". მაგრამ გარწმუნებთ, რომ ისინი ჯერ ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობის წარმართვას და მომავალი კადრების გაზრდას. ვინც მეცნიერებაში ჩახედულია, იცის, რომ თეორიული სპეციალობისგან განსხვავებით, ექსპერიმენტული მუშაობა დიდ გამოცდილებას და ღრმა ცოდნას მოითხოვს. ეს კარგად იციან ივანე ბერიტაშვილის ინსტიტუტში.

ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ევროპაში მეცნიერთათვის ასაკობრივი ცენზი მოქმედებს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან შეზღუდვები მხოლოდ ადმინისტრაციულ თანამდებობებს ეხება.

ეკონომიკურად მდიდარ ქვეყნებში არ არსებობს მეცნიერი, რომელიც ძალით ჩამოაშორეს თავის საქმიანობას. ეს იქნებოდა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. მეცნიერთა ინტერესებს მრავალრიცხოვანი ფონდები უზრუნველყოფს. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც ტერიტორიები დაკარგული აქვს, სადაც ადამიანები ნაგავს ქექავენ, წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები ქუჩაში მაწანწალობენ და ბავშვთა პროსტიტუცია ნაციონალურ ტრაგედიად იქცა! საქართველოს ჯერ არ შეუძლია იმ ქვეყნებს მიბაძოს.

ასეა თუ ისე, სახელმოხვეჭილ ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას დიდი განსაცდელი ელის. შეიძლება ივანე ბერიტაშვილის ამაგი წყალში გადაგვიყარონ და ჩვენი სპეციალისტები სხვა ქვეყნების სამეცნიერო ლაბორატორიების მომსახურე პერსონალად აქციონ, თვითმყოფადობა დაგვიკარგონ.

მეცნიერება კაცობრიობის ინტეგრაციის დიდი ფაქტორია. მომდევნო საუკუნეებში კაცობრიობის ინტეგრაციული პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და, პიერ დე შარდენის სიტყვებით, - "კაცობრიობა და მეცნიერება სინონიმები გახდება".

ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო სკოლა იმსახურებს, რომ თავისი გზით იაროს და კვლავაც ღირსეულად წარმოაჩინოს ჩვენებური ინტელექტი ცივილიზებულ სამყაროში.

ინვალიდთა საერთაშორისო დღის ფონზე

დღეს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული ინვალიდთა საერთაშორისო დღეა, რაც პრობლემებით დამძიმებულ ჩვენს საზოგადოებასაც მოუწოდებს, რომ ეს ერთი დღე მაინც იქცეს ინვალიდებისადმი საყოველთაო ყურადღების, მათი პრობლემების განხილვისა და გათავისების, მათი ღირსების, უფლებებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მობილიზების დღედ.

ამჯერად გვინდა მოგითხროთ არასამთავრობო ფონდზე, რომლის საქმიანობასაც შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების, კერძოდ კიდურამპუტირებულთა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვა დაზიანების მქონე პირთა რეაბილიტაცია წარმოადგენს.

"საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი" დაფუძნდა 2003 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორთოპედიული პროექტის ბაზაზე, რომელიც საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროსთან თანამშრომლობით წარმატებით ხორციელდებოდა 1994 წლიდან.

2004 წლიდან ფონდი დამოუკიდებლად განაგრძობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკურ რეაბილიტაციას, რაც გულისხმობს მათთვის ორთოპედიული მოწყობილობების დამზადებას (ზედა და ქვედა კიდურის პროტეზები, ზედა და ქვედა კუდურის, ხერხემლის ორთეზები, ყავარჯნები, ხელჯოხები, გადასაადგილებელი ჩარჩოები და ა.შ), მათ მორგებას და სპეციალური ფიზიოთერაპიული პროცედურებისა და ვარჯიშების ჩატარებას.

ფონდში რეგისტრირებულ 5173 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან ქვეყნისთვის ამ მძიმე წლების განმავლობაში უსასყიდლო საპროთეზო-ორთოპედიული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4000-ზე მეტ ადმიანს. მათ შორის დაახლოებით 25%-ს საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულები შეადგენენ. ფონდში რეგისტრირებულთა შორის სამწუხაროდ, დიადია სხვადასხვა თანდაყოლილი თუ შეძენილი დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა წილიც.

მათთვის ფიზიკური რეაბილიტაციის საჭიროება მთელი ცხოვრების თანმდევი აუცილებლობაა, რასაც პროექტის ფარგლებში მომზადებული საერთაშორისო დონის ეროვნული კადრები ახორციელებენ.

საპროტეზო-ორთოპედიული რეაბილიტაცია შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის გრანტი ფონდს საშუალებას აძლევს უსასყიდლოდ მოემსახუროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უდიდეს უმრავლესობას. მომავალში ეს საერთაშორისო დახმარება შემცირდება, რაც თავისთავად შეზღუდავს ფონდის შესაძლებლობებს თუ დაფინანსების დამატებითი წყაროები არ გამოიძებნა. სამწუხაროდ, ფონდის მიერ ქვყნის შიგნით ჩატარებული თანხების მოძიების კამპანია ერთი და იგივე ბარიერებს აწყდება: მძიმე საერთო სოციალური ფონი; საზოგადოების არაინფორმირებულობა და შესაბამისად, მისი დაბალი მგრძნობიარობა პრობლემის მიმართ; საქველმოქმედო საქმიანობისათვის საკმარისი სტიმულირების საკანონმდებლო ბაზის არარსებობა.

"საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართულ ფონდს" ფიზიკური რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსების მოპოვების იმედიც აქვს და ამ მიზნით გამოცხადებულ ტენდერში წელს პირველად მონაწილეობს. ჯერჯერობით ამ მიზნით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების სიმწირიდან გამომდინარე პრობლემას სრულად ესეც ვერ გადაჭრის, თუმცა მნიშვნელოვნად გაზრდის ფონდის მომსახურებით მოსარგებლეთა რიცხვს.

სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და საზოგადოების მეტი ჩართულობა ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკის მოგვარებაში, ინვალიდთა ფიზიკური რეაბილიტაციის შესაძლებლობის ზრდის იმედს იძლევა. ფიზიკური რეაბილიტაციის გარეშე კი სრულფასოვანი სოციალური რეაბილიტაცია შეუძლებელია.

"საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდის"
მისამართია: თბილისი, ლუბლიანას 18-20.
ტელეფონი: 52 28 99

ჰოლივუდში გრეგორი პეკის ვარსკვლავი მოიპარეს!

ჰოლივუდის დიდების ხეივანში, რომელიც 1958 წლიდან არსებობს, ლეგენდარული გრეგორი პეკის ვარსკვლავი მოიპარეს. ეს ვარსკვლავი უკვე 40 წელია, რაც ქვაფენილზე ეგო. ახლა მის ნაცვლად დიდი ღრმულია დარჩენილი. გრეგორი პეკი პირველი არ არის, ვის ვარსკვლავსაც ასეთი ბედი ეწია. მანამდე კიდევ სამი მსახიობის ვარსკვლავი დაიკარგა. ესენი იყვნენ: ჯეიმს სტიუარტი, კერკ დუგლასი და ჯინ ოტრი. ორი მათგანი აღმოაჩინა პოლიციამ. რაც შეეხება გრეგორი პეკის ვარსკვლავს, ის ძებნაშია. ალბათ მალე გაირკვევა, თუ ვის და რაში დასჭირდა ის.

გრეგორი პეკს ბევრი საინტერესო როლი აქვს ნათამაშები და ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მსახიობად ითვლება. ის 2003 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

საუკეთესო ავტორის გამოსავლენად

2005 წელს კინოს დარგში გამოქვეყნებული სტატიებისთვის

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 7 სტატიისა 2005 წლის 20 დეკემბრამდე.

გამარჯვებული ავტორისთვის დაწესებული ჯილდო შეადგენს 500 ლარს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

ყურადღება!

11 რესპორანი

დაკარგული სამოთხე''

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

ფიგურატივიზმი ანუ ამოუწურავი იდეა

ოთხი ხელოვანის ერთიანი პორტრეტი

სოფო კილასონია

ხანდახან მაინც ვაღიარებ ხოლმე აზრს, რომელსაც საერთოდ უარვყოფ. მაგალითად, იმას, რომ ეგოისტი ვარ. ამას საკუთარ თავთან მაშინ ვაღიარებ ხოლმე, როცა კიდევ ერთხელ ვიწყებ წერას მონოლოგში, როცა რესპონდენტის ტექსტის შელამაზება მეზარება, როცა თითქმის ყველა სტატია ჩემი ტექსტებით იწყება და არა რომელიმე მწერლისა და ხელოვანის ნააზრევიდან ამონარიდებით. დღეს ტრადიცია უნდა დავარღვიო. არა იმიტომ, რომ ახალ საგაზეთო იმიჯს ვიქმნი, არამედ იმიტომ, რომ რესპონდენტი და მისი ტექსტი უფრო მაინტერესებს, ვიდრე მისდამი საკუთარი დამოკიდებულება.

"რადგან წინა საუკუნემ ანტიკულტურა და ანტიღირებულებები დაგვიტოვა, ახალი ხელოვნება პრინციპულად ღირებულებათა რეაბილიტირებას უნდა შეეცადოს. ხელოვნება არ არის რებუსი, რომელსაც, რაც არ უნდა შეეცადო, ვერ ამოხსნი, თუ თავად ავტორმა არ აგიხსნა. ხელოვნება არც სანაგვე ყუთია, რომელშიც ხელოვანმა მთელი ხილული თუ უხილავი სამყაროსადმი დაგროვილი სიძულვილი და ბოღმა უნდა გადმოანთხიოს. ხელოვნება ღირებულებათა ვიზუალური წარმოჩენაა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური წარმომადგენლებისთვის, მაგრამ თავად მათი არსებობაა უმთავრესი", - ეს ტექსტი ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნომ კონცეფციის ნაცვლად წარმომიდგინა, როცა გუშინ მის მორიგ გამოფენაზე მივედი გალერეა "უნივერსში". მალე ოთხი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ოთხი ახალგაზრდა ხელოვანი ერთად დადგა საგამოფენო სივრცეში და ერთად დაიწყო საკუთარი დამთვალიერებლისა და საკუთარი ხელოვნების ფორმებისა და იდეების ძიება.

მალხაზ დათაშვილი, ტატო ახალკაციშვილი, ირაკლი ბუგიანიშვილი, ლევან მინდიაშვილი. ისინი ძალიან განსხვავებული სახეებია, მაგრამ მათ შორის მაინც მჭიდრო კავშირია. ისინი ჭეშმარიტი ხელოვნების ძიებაში არიან და იმ ღირებულებების დაბრუნებას ლამობენ, რომელთა დაკარგვითაც თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება კარგა ხანია ჩიხს მიადგა. მარტივად რომ ვთქვა, სწორედ ამ მისწრაფებამ გააერთიანა სამი მხატვარი და ერთი მოქანდაკე ფიგურატივიზმის უსაზღვროობასა და ლაბირინთებში.

სამი მხატვარი და ერთი მოქანდაკე 2002 წლიდან ერთად მუშაობს. ორი სერიოზული თბილისური გამოფენის შემდეგ კი მჭიდრო კავშირი დაამყარეს გერმანიასთან და წლის განმავლობაში არაერთ ფესტივალსა და ფართო მასშტაბის გამოფენებში იღებენ მონაწილეობას. მაინც რატომ ფიგურატივიზმი? ბევრმა დასვა მარტივი კითხვა ორი წლის წინ, მათ პირველ ერთობლივ პერსონალურ გამოფენაზე. კითხვა, რომელიც არცთუ ისე პროფესიულად ჟღერს, მაინც აღმოხდა საკმაოდ პროფესიულ საზოგადოებას. და კიდევ ერთი: ხომ არ არის ეს თანამედროვე ფორმების იგნორირება? ეს ფრაზა კი ოდნავ წინააღმდეგობრივია. ფორმა, როგორც ხერხი, თუ ფორმა, რომელიც თანამედროვე სახვით და არა მარტო სახვით ხელოვნებაში მკრთალი კონტურებითაც აღარ შემოგვრჩა. ანდა, უფრო საქმეში ჩახედულები რომ გამოვჩნდეთ, ასე ვთქვათ: ფორმის მნიშვნელობა თან ბუნდოვანი და თანაც ძალიან რთული გახდა. ასეა თუ ისე, ახალგაზრდა ქართველმა ფიგურატივისტებმა ნამდვილად იციან, რა არის მათთვის ფორმა და შინაარსი. ზუსტად განსაზღვრეს, საიდან იწყებდნენ და საით უნდა წასულიყვნენ. XIX-ის ბოლო და XX-ის დასაწყისი ის პერიოდია, საიდანაც მათი მხატვრობა ამოსავალ წერტილს პოულობს და ვითარდება, ოღონდ არა იმ გზებითა და იმ პროცესებით, როგორც ეს რეალურად მოხდა და ახალი ეპოქის ხელოვნების ისტორიამ წარმოგვიდგინა. რა იქნებოდა, კუბიზმი რომ არ დაწყებულიყო... ამ კითხვას ძალიან მარტივად მისვამს ლევან მინდიაშვილი, რომელიც ამ ჯგუფის მუშაობის პროცესების მთავარ თეორეტიკოსად გვევლინება: "ვეძებდით ყველაზე კრებით და ყველაზე განზოგადებულ სახელს. ჩარჩოებს გავურბოდით. დღესდღეობით სტილური კრიტერიუმები ისედაც არ არსებობს. ეს იქნება სახვითი ხელოვნება, ვიზუალური ხელოვნება... არც მუსიკაში არსებობს მკაცრი სტილური საზღვრები. დღეს ყველა მიმდინარეობა მოიცავს უკვე არსებულის მთელ სპექტრს. ჩვენთვისაც ფიგურატივიზმი მოიცავს მთელ სპექტრს, უკიდურესი პრიმიტივიზმით დაწყებული და უკიდურესი ნატურალიზმით დამთავრებული. ანუ არსობრივად ეს არის ის გამომსახველობითი ფორმა, რომელიც პრინციპულად გვაქვს გადაწყვეტილი ჩვენს თავში. ეს არ არის უეცარი გადაწყვეტილება, ეს გახლავთ ძალიან სერიოზული და მრავალწლოვანი ძიებების შედეგი." ერთს ჰქონდა სიურეალისტური პერიოდი, მეორეს - ნატურალისტური. მესამე პოპარტს და ასამბლაჟს ქმნიდა. მაგრამ ალბათ ოთხივე მიხვდა, რომ მაინც სახვით ფორმაში დევს ყველაზე დიდი სპექტრი არჩევანისა, ყველაზე მდიდარი მასალა სახვითი ენისა და, რაც მათთვის ყველაზე მთავარია, მხოლოდ უსაზღვრო ფიგურატივიზმშია შესაძლებელი "იმ ღირებულებების დაბრუნება, რომელიც ჭეშმარიტ ხელოვნებას უნდა ქმნიდეს".

ორი დღის წინ გალერეა "უნივერსში" ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს მორიგი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ამჯერად სამი მათგანის ნამუშევრები "მგზავრების" თემის ასოციაციით ერთიანდებოდა, თუმცა, სიტყვა გაერთიანება ძალიან პრიმიტიულად მეჩვენება ამ შემთხვევაში. თუ აქამდე ნახ მათ ექსპოზიციებს მოვიგონებ, თამამად გეტყვით, რომ ცოტა გავოგნდი და ძალიან ვისიამოვნე. გაოგნების შეგრძნება კი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მეწვია, რომ ორი მათგანი საკმაოდ ჩამოყალიბებული მომეჩვენა, მესამე კი - განვითარების პროცესში. მალხაზ დათაშვილის ბრინჯაოში ჩამოსხმულ ფიგურებს ლაკონიზმი, სიცხადე და მოძრაობაში ზუსტი მომენტი უპოვიათ. ტატო ახალკაციშვილის პეიზაჟებსა და კომპოზიციებში კი ნატურალისტური ხედვა გამქრალა და ლაქოვანი სიბრტყეებით შთაბეჭდილებისა და ემოციების დანახვა დაუწყია. ლევან მინდიაშვილი ისევ და ისევ ხაზის ტრფიალია, მისი მხატვრობა სისადავისა და ხაზით მიღწეული ექსპრესიისკენ მიისწრაფვის, თუმცა, ამჯერად ის საკუთარ არჩევანში ბევრად უფრო დარწმუნებულია, ვიდრე გასულ წელს, როცა მისი "წყვილები" ხაზთან ერთად ფერშიც დაექებდნენ საკუთარ სილუეტებს. შტამპებს გაურბის და ახალი იდეის ადეკვატური ფორმების მიგნება ძალიან კარგად გამოსდის: "ინსპირაციას მხოლოდ ფიგურატივიზმი არ მაძლევს. არ გამოვრიცხავ, რომ თუნდაც თანამედროვე მედიებით შეიძლება შეიქმნას ხელოვნება, თუ ის ნამდვილად ხელოვნებაა და ექნება ის ღირებულებები, რომლებიც ჭეშმარიტ ხელოვნებას აქამდე ჰქონდა. ჩემი აზრით, მედია და საერთოდ ტექნიკური საშუალებები არ არის მთავარი. მთავარია ის ღირებულება და დამოკიდებულება, რომელსაც მხატვარი საკუთარ თავსაც უყენებს და საკუთარ შემოქმედებასაც. რაც შემეხება მე, არასდროს ვკმაყოფილდები მიღწეულით. თითოეული იდეა ადეკვატურ ფორმას იძენს, მაგრამ არასდროს ეს ფორმა სხვა იდეისთვის მისაღები არ არის. ახალი მიზანი თავისთავად გულისხმობს იმ იდეისთვის მაქსიმალურად მოსარგები ფორმის ძიებას."

სულ მალე ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო ბონში გაემგზავრება და "გზებისა და გზაჯვარედინების" კონცეფციის მქონე ფართო ექსპოზიციაში მიიღებს მონაწილეობას. ამჯერად მათ ირაკლი ბუგიანიშვილიც შეუერთდება და გერმანიაში შექმნილ ნამუშევრებსაც წარუდგენს დამთვალიერებელსა და უცხოელ კოლეგებს. დღეს კი თბილისში ძალიან ცოტა, მაგრამ რამდენიმე არტისტული ჯგუფი არსებობს, თუმცა, არც ერთი მათგანი არ ვითარდება იმ ტემპებითა და ისეთი ენთუზიაზმით, როგორც "ეს ფიგურატივისტები".

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მათ მხატვრობაზე, მაგალითად, მინდიაშვილის იმ ახალ სერიასა და პორტრეტებზე, ადამიანების ცხოვრების ანუ "მგზავრების" ყველაზე მნიშნელოვან ეტაპებს სიკვდილამდე, მათ "ხელახალ დაბადებამდე" რომ მოიცავს, ანდა იმაზე, თუ როგორ იხდენს ნეიტრალურად დაგრუნტულ ფონზე აღებული ადამიანური მარტივი ფორმები დათაშვილის "ქალისა და კაცის" სერიის ფიგურებს და ა.შ. მაგრამ ამ დანარჩენზე საუბარს კიდევ მოვასწრებთ, როცა სახელოსნო ევროპიდან ახალი წარმატებებით დაბრუნდება.

სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 22-23 დეკემბერს, 19:00 საათზე დანიშნულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს "საქართველოს ბანკის" 2005 წლის ფინანსური შედეგების აუდიტირებისათვის გარე აუდიტორის დამტკიცება;
2. სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 7 წევრამდე და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა;
3. სს "საქართველოს ბანკის" წესდებაში ცვლილებების შეტანა;
4. ნებადართული კაპიტალის ფორმით ს.ს. "საქართველოს ბანკის" ახალი აქციების გამოცემა და ამ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება.

სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭო და მმართველთა საბჭო 2005 წლის 22-23 დეკემბერს რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს წარუდგენს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს კომპანია შპს "ერნსტ&იანგ აუდიტი" სს "საქართველოს ბანკის" 2005 წლის ფინანსური შედეგების აუდიტორად.
2. ნება დაერთოს სს "საქართველოს ბანკის" მენეჯმენტს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება შპს "ერნსტ&იანგ აუდიტთან".
3. აქციონერთა ნებართვა სს "საქართველოს ბანკის" აუდიტორად შპს "ერნსტ&იანგ აუდიტი"-ს დანიშვნის თაობაზე ძალაშია მანამ, სანამ სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა კრება არ მოახდენს ამგვარი დანიშვნის გაუქმებას და/ან სხვა აუდიტორის დანიშვნას.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 7 წევრამდე, რაც უნდა აისახოს ბანკის წესდებაში.
2. დაკმაყოფილდეს ბ-ნ ჰენრი პოტერის განცხადება სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ.
3. დაკმაყოფილდეს ნაფია აბუ ეკ მათის განცხადება სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ.
4. სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნას ბ-ნი ენდრიუ ოსტაშევსკი.
5. სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნას ბ-ნი იური მოსტოვოი.
6. სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნას ბ-ნი კესტუტის სასნაუსკასი.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. სს "საქართველოს ბანკის" საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია ბანკის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.
2. აქციონერთა მიერ სს "საქართველოს ბანკის" წესდების ახალი რედაქციის მიღება შესაძლებელია სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში ინვესტორებთან ურთიერთობის უფროსთან, მაკა ეკიზაშვილთან (ტელ: +995 32 444256, ელ-ფოსტა: mekizashvili@bog.ge) ან სს "საქართველოს ბანკის" ინტერნეტ საიტზე.
3. აქციონერთა წერილობითი წინადადებებისა და შენიშვნების წარდგენა წესდების ახალი რედაქციის მიმართ (ასევე განმარტებების მიღება ცალკეულ საკითხებზე) შესაძლებელია სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში 2005 წლის 12 დეკემბრამდე მაკა ეკიზაშვილთან (ტელ: +995 32 444256, ელ-ფოსტა: mekizashvili@bog.ge). ამგვარი წინადადებებისა და შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა მოხდება საერთო კრებაზე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

1. სს "საქართველოს ბანკის" შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის, მიზანშეწონილია ბანკის ახალი ჩვეულებრივი აქციების გამოშვება. ახალი აქციები გამიზნულია დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად ეროვნული ბანკის ნორმატივებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკის საკრედიტო პორტფელის შემდგომი ზრდისათვის და სს "საქართველოს ბანკის" მიერ შემდგომი შესყიდვების განსახორციელებლად, აგრეთვე ბანკის თანამშრომელთა საკომპენსაციოდ.
2. სულ შემოთავაზებულია 5,000,000 (ხუთი მილიონი) ახალი ჩვეულებრივი აქციის გამოცემა, რომლებიც გამიზნული იქნება:

(ა) 1,000,000 (ერთი მილიონი) ჩვეულებრივი აქცია - ს.ს. "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით თანამშრომელთა საბონუსე სისტემის ფარგლებში აქციების გასაცემად;

(ბ) 4,000,000 (ოთხი მილიონი) ჩვეულებრივი აქცია - დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად ეროვნული ბანკის ნორმატივებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკის საკრედიტო პორტფელის შემდგომი ზრდისათვის და სს "საქართველოს ბანკის" მიერ შემდგომი შესყიდვების განსახორციელებლად

3. მსგავსად 2004 წლის 29 ივლისის აქციონერთა საერთო კრებით დამტკიცებული ნებადართული კაპიტალის გაზრდისა, ნებადართული კაპიტალის ფარგლებში გამოცემულ ახალ 5,000,000 (ხუთ მილიონ) ჩვეულებრივი აქციაზეც გაუქმებულ იქნება აქციონერთა მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქციონერი მხარს არ უჭერს: (ა) წესდებაში ცვლილებების შეტანას (დღის წესრიგის მესამე საკითხი), იმ მოსაზრებით, რომ არსებითად ილახება მისი უფლებები, ან (ბ) ახალი აქციების გამოცემას უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებით (დღის წესრიგის მეოთხე საკითხი), მაშინ ასეთ აქციონერს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა. ამგვარი უფლების განხორციელება აქციონერს შეუძლია წერილობითი მოთხოვნის წაყენებით სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს სახელზე. აქციების გამოსყიდვა მოხდება კანონით დადგენილი წესით. აქციონერთა მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება შესაძლოა შეიზღუდოს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართება სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, თბილისი, პუშკინის ქ. N 3

აქციონერთა რეგისტრაცია 2005 წლის 22 დეკემბრის 18:00 საათიდან.

აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2005 წლის 22 ნოემბერი.

აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას მიმდინარე წლის 12 დეკემბრიდან სს "საქართველოს ბანკის" აქციების რეგისტრატორთან - სს "კავკასრეესტრში", შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 74 ა.